



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლა
(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: ნინო მუმლაძე

წევრები:

ეკატერინე ხუციშვილი

ხათუნა გეგეშიძე

ლელა ფანოზიშვილი

ლილი კაცაძე

მარიამ ფერიაშვილი

ვალერიანე ვოლჩანსკი

მარიამ ლეკიაშვილი

ნინო ბერიშვილი

თამარ ზედგინიძე

ვერა სომხიშვილი



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	236087694

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მცხეთა სოფელი ბიწმენდი
ფაქტობრივი მისამართი	მცხეთის რაიონი სოფელი ბიწმენდი 1 ქუჩა, 1 ჩიხი N1ა
საფოსტო ინდექსი	3300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Bitsmendi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577544829

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2024 წლის 30/07 N924619
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 29 და 30 აგვისტო



IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგად საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მცხეთა, სოფელი ბიწმენდი, 1 ქუჩა 1 ჩიხი N1
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მცხეთა, სოფელი ბიწმენდი, 1 ქუჩა 1 ჩიხი N1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლაში შეფასება წარიმართა აქტიურ რეჟიმში, დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას.

ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში.



დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს. ადმინისტრაციულ პერსონალს და სკოლის მასწავლებლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი და დამატებითი დოკუმენტაცია.

საგნობრივ ექსპერტებს დღის წესრიგის მიხედვით საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ საგნის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა ასევე ონლაინ რეჟიმში დაათვალიერა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და განიხილა კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები საგნების მიხედვით. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტის მიერ მოხდა დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრება და კურიკულუმის რევიზია. რის საფუძველზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაწყებითი საფეხურზე კურიკულუმების განხორციელება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. განსაზღვრულია სასკოლო პოლიტიკა, კერძოდ რა მეთოდებით უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებამ პოზიტიური და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა



VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლა ახორციელებს დაწყებით და საბაზო საფეხურებს, სასკოლო საზოგადოება გამოირჩევა მაღალი მოტივაციით, რომლის თითოეულ წევრს ესმის, გააზრებული აქვს საკუთარი მოვლევები და კეთილსინდისიერად შეაქვს წვლილი სკოლის განვითარებაში. სკოლის პედაგოგები მზად არიან პროფესიული წინსვლისა და განვითარებისათვის და გამოირჩევიან მაღალი თანამშრომლობითი კულტურით. სკოლა მისი დაარსების დღიდან გამოირჩევა გუნდურობითა და თანამშრომლობით. 2021-22 სასწავლო წელს უკვე ამორტიზირებულ, მოძველებული სკოლის შენობის ადგილზე აშენდა ახალი, თანამედროვე სტანდარტით გათვალისწინებული საბაზო სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი, ნინელი მამულაშვილი. გარდა სოფელ ბიწმენდში მცხოვრები მოსწავლეებისა სკოლაში სწავლობენ სოფელ ჯილაურიდან, ახალსოფლიდან და დუშეთის რაიონ სოფელ ახატნიდან, რომელთა გადაადგილებას უზრუნველყოფს სპეციალურად გამოყოფილი ტრანსპორტი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება
	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ლონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	ხარვეზი
ინდიკატორი N		



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



3.4.1.1	სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა	საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოხდეს აქტიური კომუნიკაცია შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან, იმისათვის, რომ მიიღონ შესაბამისი დოკუმენტი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. დაწესებულების მიერ მოხდეს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, იმისათვის, რომ სკოლაში მიიღოს სკოლის შენობის მდგრადობის დოკუმენტი და შეთანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის უწყებასთან.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	ბუნებისმეტყველების კურიკულუმებს დაემატოს აქტივობები, შესაბამისი რესურსებით, რათა სწავლა-სწავლების პროცესში გრძელვადიანი მიზნების დაფარვა მოხდეს ეფექტურად.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდურ გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ სამართლიანი;	უცხოური ენა -სასურველია სკოლაში შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, რადგან სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რომელიც



		<i>ძალადაკარგულია.</i>
2.1.2.5	<i>მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს და ამოცანებს.</i>	საზოგადოებრივი მეცნიერებები/ისტორია- სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მოქალაქეობა - სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. უცხოური ენები - სასურველია სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებელი დავალებები ორიენტირებული იყოს სამიზნე ცნებებზე.



VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის მისიის, ხედვისა და ფილოსოფიის დოკუმენტში, სკოლის მისია და ხედვა ერთმანეთისგან არაა გამოყოფილი, ზოგადია და საჭიროებს მეტ კონკრეტიკას. სადაც სკოლის ინტერესებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე. უმჯობესია სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტში გამოიყოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების ნაწილი ერთმანეთისგან.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
3.4.1.1	სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა	დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ სკოლაში უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიცირება.



3.5.1.5	სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.	ბიბლიოთეკართან და სკოლის სხვა წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე, სკოლის წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა, სკოლის ბიბლიოთეკა გაამდიდრონ უფრო მეტი საბავშვო/საკითხავი ლიტერატურით, მოეწყოს ბიბლიოთეკარის ინიციატივით სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო ღონისძიებები, მაგალითად კითხვის საათი, პოეზიის საღამო და სხვა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		
4.2.1.1	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი	სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას დოკუმენტი, სადაც სკოლაში ადაპტაციის მექანიზმები ერთად იქნება თავმოყრილი და გაქერილი.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N....		
2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის,	სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სასურველი და მნიშვნელოვანი იქნება მეთოდოლოგიაში სკოლამ უფრო ნათლად, კონკრეტულად გამოკვეთოს თუ როგორ, რა საშუალებებით ხდება კურიკულუმის შემუშავების სასკოლო საზოგადოების ინტერესების და პრიორიტეტების შესწავლა დ კურიკულუმში ასახვა.



2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახელმწიფო ენა/ქართული - თითოეული კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებებსა და შედეგებთან ერთად, სასურველია დაკონკრეტდეს უშუალოდ დამუშავებული/დასამუშავებელი ქვეცნებები თემისა და საკითხების შესაბამისად; თითოეული თემის დამუშავებისას უმჯობესია გამოყენებული იყოს უფრო მეტი კონტექსტს-მაგალითი (პარალელები, შედარებები, მაგალითები და ა.შ.) და დამატებითი რესურსები: ვიდეო/აუდიო/ფოტო მასალები.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზღვრისმეტყველო მეცნიერებები/ფიზიკა - კურიკულუმებში (მე-7; მე-8; მე-9კლ) დაზუსტდეს საკითხები თემებში სახელმძღვანელოს საკითხების მიხედვით
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უცხოური ენები - მასწავლებლებმა საგნობრივ კურიკულუმში მიუთითონ თითოეული თემისთვის/საკითხისთვის სავარაუდო დათმობილი საათი. სასურველია აქტივობები, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესში შესაბამის სწავლის შედეგებზე გასასვლელად გაიწეროს კურიკულუმში. უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი აქტივობები ძირითად რესურსიდან არჩეული სახელმძღვანელოდან არის აღებული, არადა ინტერვიუს დროს გამოჩნდა რომ მასწავლებლები მიმართავენ სხვადასხვა აქტივობებს გასაგვეთილო პროცესის დროს თან რესურსებში უამრავი „ლინკი“ აქვთ მითითებული. სასურველია საგნობრივ კურიკულუმში ჩანდეს მასწავლებლის მიერ შერჩეული, დამატებითი ან მოდიფიცირებული აქტივობები, რაც საგნობრივ კურიკულუმს გაზდის უფრო მოქნილს და რეალურს.



2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	მათემატიკა - საბაზო საფეხურის მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში სასურველია განისაზღვროს თემის /საკითხის სავარაუდო ჯამური საათობრივი დატვირთვა.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მათემატიკა - სასურველია სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევისთვის, მაგ. VII კლასის კურიკულუმის ერთ-ერთ სვეტში - „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“; მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული. ასევე კურიკულუმის სვეტს: „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისათვის“- მიეთითოს მხოლოდ „სასწავლო რესურსები“; რადგან ზოგიერთ თავში საერთოდ არ არის მითითებული კომპლექსური, ხოლო რესურსები საჭიროა ამ თავის დამუშავებისთვის. საზოგადოებრივი მეცნიერებები/მოქალაქეობა - სასურველია, სკოლამ კურიკულუმის ჩარჩოებში დოკუმენტურად ასახოს სასწავლო რესურსები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს. ისტორია - სასურველია, სკოლამ კურიკულუმის ჩარჩოებში დოკუმენტურად ასახოს სასწავლო რესურსები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლას არ აქვს სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია. კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად ლაბორატორია სასურველია შეივსოს მატერიალური რესურსით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების: ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კურიკულუმების საკითხთა კლასტერის სასწავლო რესურსებს, რომლებიც არ იფარება კომპლექსური დავალებით, სახელმძღვანელოს და ტელესკოლის



		გაკვეთილებთან ერთად, სასურველია დაემატოს დამატებითი რესურსები (ელექტრონული რესურსები, საგანმათლებლო პლათფორმები <i>ck12</i>; <i>phet.colorado.edu</i>; ვირტუალური ლაბორატორია <i>vascak</i>), საგაკვეთილო პროცესში უნდა გამოიყენებოდეს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის რესურსი(რომლის გამდიდრებაც იგეგმება), რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, საშუალებას მისცემს მოსწავლეს უკეთ გაიაზროს ის სამიზნე ცნებები რომელიც მუშავდება მოცემულ საკითხთა კლასტერში
--	--	--



2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	მათემატიკა - სასურველია საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი აქტივობები. სახელმწიფო ენა/ქართული - სასურველია, სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას უფრო მეტი და განსხვავებული აქტივობა; უცხოური ენები - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში ნაწილობრივ იკითხება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, სასურველია სრული სურათი ჩანდეს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეების შედეგების მიღწევების გასაზომი ინსტრუმენტია დიაგნოსტიკური წერა, რომელიც მასწავლებელს საშუალებას მისცემს ეფექტურად გაზომოს მოსწავლის განვითარება საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევის მიმართულებით. სკოლას დიაგნოსტიკური წერების გამოცდილება ამჟამად არ აქვს, მაგრამ მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკურ წერებს. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეების შედეგების მიღწევების გასაზომი ინსტრუმენტია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. უნდა შემუშავდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ფიზიკის საგანში მე-7; მე-8; მე-9კლ. ქიმია მე-8კლ., განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ასახავს მოსწავლის შედეგების მიღწევის დონეს საგნის სტანდარტთან მიმართებით მოცემულ საკითხებში. ასევე გასაწერია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც აჩვენებს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეების შედეგების მიღწევის პროცესს. კურიკულუმში ჩამოთვლილი კომპლექსური დავალებზე დაყრდნობით უნდა
---------	---	---



		შემუშავდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკა მე-7; მე-8; მე-9 კლ. ქიმია მე-8; მე-9 კლ. მოცემული რუბრიკები მასწავლებელს აძლევს საშუალებას ეფექტურად გაზომოს მოსწავლის განვითარება საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევის მიმართულებით.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საზოგადოებრივი მეცნიერებები/ისტორია - სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მოქალაქეობა - სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით.
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	მათემატიკა - სასურველია კურიკულუმში შემუშავდეს ესგ-ს სტანდარტის შესაბამისი ყველა სავალდებულო თემის, ცნების და საკითხების შესაბამისად, მოსწავლეებს შესთავაზონ შესაბამისი სასწავლო თემები და საკითხები სამიზნე ცნებების გასააზრებლად.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სახელმწიფო ენა/ქართული - სასურველია სასწავლო პროცესში გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი, განსხვავებული ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკები, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება კონკრეტული კრიტერიუმები (შესაბამისი ქულებით) და მაქსიმალური სიზუსტით იქნება დაფიქსირებული თითოეული კრიტერიუმისათვის მინიჭებული ქულათა გადანაწილების პრინციპი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ფიზიკის საგნის მე-7; მე-8; მე-9 კლ. ქიმიის მე-8 კლ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უნდა ასახავდეს მოსწავლის შედეგების მიღწევის დონეს საგნის სტანდარტთან მიმართებით მოცემულ საკითხებში. ფიზიკის საგნის მე-7; მე-8; მე-9 კლ. ქიმიის მე-8; მე-9 კლ. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, აჩვენებდეს სწავლა- სწავლების პროცესში მოსწავლეების



		შედეგების მიღწევის პროცესს. ფიზიკის საგნის მე-7; მე-8; მე-9 კლ. ქიმია მე-8 კლ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უნდა ასახავდეს მოსწავლის შედეგების მიღწევის დონეს საგნის სტანდარტთან მიმართებით მოცემულ საკითხებში. მოსწავლისთვის ცნობილი უნდა იყოს კრიტერიუმები, რომლითაც ფასდება მისი ნაშრომი ფიზიკის საგნის მე-7; მე-8; მე-9 კლ. ქიმია მე-8კლ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უნდა ასახავდეს მოსწავლის შედეგების მიღწევის დონეს საგნის სტანდარტთან მიმართებით მოცემულ საკითხებში.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	მათემატიკა - სასურველია მეტი აქცენტი გაკეთდეს ელექტრონული რესურსების შექმნასა და გამოყენებაზე სასწავლო პროცესში. საზოგადოებრივი მეცნიერებები/მოქალაქეობა - სასურველია, სკოლამ კურიკულუმის ჩარჩოებში დოკუმენტურად ასახოს(საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს) სასწავლო რესურსები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს. ისტორია - სასურველია, სკოლამ კურიკულუმის ჩარჩოებში დოკუმენტურად ასახოს(საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს) სასწავლო რესურსები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	უცხოური ენები - სასურველია კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში შეადგინოს ცალკე დოკუმენტად ან ცალკე სიით დამატებითი რესურსების ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისი იქნება სასწავლო მიზნებთან და წარდგენილი იქნება კათედრის პირველ ოქმის დანართად.



2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	უმჯობესი იქნება, სასკოლო საზოგადოების ფუნქცია- მოვალეობებთან ერთად, სკოლამ უფრო დეტალურად და საკუთარი სკოლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებულად გაწეროს ის მექანიზმები, რომლებიც მონიტორინგისა და შეფასების ეტაპის სრულყოფილად წარმართვას შეუწყობს ხელს. ასევე, ვურჩევდით სკოლას, აღნიშნულ მეთოდოლოგიაში უფრო დეტალურად ასახოს ისიც, თუ როგორ, რა საშუალებებით, დროის რა შუალედებში განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.
---------	---	---

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N....		
2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სასურველი და მნიშვნელოვანი იქნებ მეთოდოლოგიაში სკოლამ უფრო ნათლად, კონკრეტულად გამოკვეთოთ თუ როგორ, რა საშუალებებით ხდება კურიკულუმის შემუშავების სასკოლო საზოგადოების ინტერესების და პრიორიტეტების შესწავლა დ კურიკულუმში ასახვა.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ბუნებისმეტყველება-მე-3 და მე-6 კლასის კურიკულუმებში რიგ საკითხთა კლასტერში დასაზუსტებელია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. IV კლასის კურიკულუმში სასურველია დაემატოს სამიზნე ცნებები, თემებში კლასტერების მიხედვით. მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში, თემაში - მზის სისტემა- პირველი კლასტერის საკითხების დამუშავებისას სამიზნე ცნება - სხეული შეიცვალოს მოვლენებით.



		ბუნებისმეტყველების VI კლასის კურიკულუმის მე-3 თემის პირველ საკითხთა კლასტერში სამიზნე ცნებები დასახვეწია. ამავე კლასის კურიკულუმში გაიწეროს სამიზნე ცნებები კლასტერში შემავალ საკითხებზე დაყრდნობით. ასევე კურიკულუმში არ არის გაწერილი შუალედური მიზნები, შესაბამისად მოსწავლეს არ აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში. ამავე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში უმჯობესია გაიწეროს კომპლექსური სახის შემაჯამებელი დავალება/დავალებები, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი
2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	უცხოური ენა - სასურველია მასწავლებლებმა საგნობრივ კურიკულუმში მიუთითონ თითოეული თემისთვის/საკითხისთვის სავარაუდო დათმობილი საათი. აქტივობები, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესში შესაბამის სწავლის შედეგებზე გასასვლელად გაიწეროს კურიკულუმში. უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი აქტივობები ძირითად რესურსიდან არჩეული სახელმძღვანელოდან არის აღებული, არადა ინტერვიუს დროს გამოჩნდა რომ მასწავლებლები მიმართავენ სხვადასხვა აქტივობებს საგაკვეთილო პროცესის დროს თან რესურსებში უამრავი „ლინკი“ აქვთ მითითებული. სასურველია საგნობრივ კურიკულუმში ჩანდეს მასწავლებლის მიერ შერჩეული, დამატებითი ან მოდიფიცირებული აქტივობები, რაც საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო მოქნილს და რეალურს.



2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში (მე-4 კლასის კურიკულუმში, გაწერილი სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.) განსაზღვრული სასწავლო რესურსები - სახელმძღვანელოს და ტელესკოლის გაკვეთილებს, უნდა დაემატოს დამატებითი რესურსები (ელექტრონული რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმები, ვირტუალური ლაბორატორია), საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის რესურსი, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. უცხოური ენა - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში ნაწილობრივ იკითხება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, სასურველია ამი მიმართულებით სრული სურათი ჩანდეს. ბუნებისმეტყველება-სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს უნდა ერთვოდეს მასწავლებლის განმავითარებელი კომენტარი.
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სახელმწიფო ენა/ქართული ენა და ლიტერატურა - სასურველია სასწავლო პროცესში უფრო მეტი და ამასთან მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება (თითოეული თემის შესაბამისად), რომელიც მიმართული იქნება დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომაზე. მათემატიკა - სასურველია საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი აქტივობები. უცხოური ენა- წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში ნაწილობრივ იკითხება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, სასურველია სრული სურათი



		<i>ჩანდეს.</i>
--	--	----------------



2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენა/ქართული ენა და ლიტერატურა- შეფასების რუბრიკებში უმჯობესია გაიწეროს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, როგორც საშინაო, აგრეთვე საკლასო აქტივობებისთვის. სასურველია, შეფასების რუბრიკები იყოს მეტად მრავალფეროვანი და მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის დავალებებს. კომპიუტერული ტექნოლოგიები- სასურველია, დოკუმენტი “შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი” ცნობილი იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ბუნებისმეტყველება- სასურველია, განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს ერთვოდეს მასწავლებლის განმავითარებელი კომენტარი.
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	კომპიუტერული ტექნოლოგიები- საგნობრივი კურიკულუმში დაემატოს ციფრული უსაფრთხოების ცნება. გასაუბრების დროს მასწავლებელი საუბრობდა ციფრული უსაფრთხოების ცნებაზე, თუმცა აღნიშნული არაა სასწავლო კურიკულუმში, სასურველია საგნობრივი კურიკულუმში ამ მიმართულებით გაიმართოს და დოკუმენტურად ჩაიწეროს აღნიშნული ცნების სწავლების მეთოდები. სახელმწიფო ენა/ქართული ენა და ლიტერატურა- შეფასების რუბრიკებში უმჯობესია გაიწეროს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები როგორც საშინაო, აგრეთვე საკლასო აქტივობებისთვის. სასურველია, შეფასების რუბრიკები იყოს მეტად მრავალფეროვანი და მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის დავალებებს.



2.2.2.2	დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	უცხოური ენა - სასურველია კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეადგინოს ცალკე დოკუმენტად ან ცალკე სიით დამატებითი რესურსების ჩამონათვალი რომელიც წარდგენილი იქნება კათედრის პირველ ოქმის დანართად და სკოლის/ადმინისტრაციის სათანადო პირი გამოიკვლიოს ამ რესურსების ვალიდირებულობა/ან თავად კათედრა კოლეგების დახმარებით (მაგ. სახელმწიფო კათედრის დახმარებით) დაადგინოს ვალიდირებულობა.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განმახორციელებელ ერთ-ერთ პირად მოხსენიებულია დირექტორის მოადგილე, სკოლას ამ ეტაპზე არ ყავს დირექტორის მოადგილე და მის მოვალეობას ასრულებს სკოლის დირექტორი, სკოლის წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა აღნიშნულ დოკუმენტში შესწორებული იქნეს დაშვებული ტექნიკური შეცდომა.
2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	უმჯობესი იქნება, სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად, სკოლამ უფრო დეტალურად და საკუთარი სკოლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებულად გაჩეროს ის მექანიზმები, რომლებიც მონიტორინგისა და შეფასების ეტაპის სრულყოფილად წარმართვას შეუწყობს ხელს. ასევე, ვურჩევდით სკოლას, აღნიშნულ მეთოდოლოგიაში უფრო დეტალურად ასახოს ისიც, თუ როგორ, რა საშუალებებით, დროის რა შუალედებში განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.



VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ არგუმენტირებული პოზიციას, წარმოდგენილ დოკუმენტაციას და შესაბამისობის გეგმას, რის საფუძველზეც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და ავტორიზაციის დასკვნაში ასახა ცვლილებები, კერძოდ:

მე-3 სტანდარტი, 3.1.

3.1.1.1 სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

- სკოლამ გააფორმა შესაბამისი ხელშეკრულებები, სკოლასა და მასწავლებელს შორის, რომელშიც შეიტანა სათანადო ცვლილებები. მოხდა ფუნქცია-მოვალეობების განაწილება, მოწესრიგება დოკუმენტურად.

3.1.2.3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;

- დაწესებულებამ წარმოადგინა თანამშრომლების კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები, კერძოდ: ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა.

3.4.1.1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);



დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლამ წარმოადგინა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა N004425624, რომლის თანახმადაც სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია და შესაძლებელია სკოლის შენობის ექსპლუატაცია. სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის მიხედვით საფუძველზე სკოლას შესასრულებელი აქვს კონკრეტული რეკომენდაციები. დაწესებულებასა და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან მიმდინარეობს სამუშაო პროცედურები შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით და ასევე უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ გაკეთებული აქვს მიმართვა.

დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა მოსაზრებები, გაცემული რჩევები და რეკომენდაციები მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, რის საპასუხოდაც სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილია კურიკულიმის შინაარსთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრის მექანიზმები და გაწერილია შესაბამისი ვადები.



ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალ-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საზოგადოებასთან და მშობლებთან თანამშრომლობის გზით, განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის აკადემიური, სოციალური, ფიზიკური და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სკოლა ხელს უწყობს ბავშვზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას. სკოლის მიზანია მოსწავლეთა მიღწევები აქციოს უმაღლეს პრიორიტეტად და მის განსახორციელებლად მოიზიდოს შესაბამისი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსები. მთავარი პრიორიტეტია ცოდნასთან ერთად მოსწავლეები აღვჭურვონ იმ გამჭოლი უნარ-ჩვევებით, რაც მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოადგებათ. ამას გარდა, სკოლის მისიაა უსაფრთხო, პოზიტიურ გარემოში ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით და მაღალკვალიფიციური მომსახურებებით, წარმატებულ ცხოვრებაზე ორიენტირებული, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღები ღირსეული მოქალაქის ჩამოყალიბება.

ორგანიზაციის ღირებულებები:

ავტონომიურობა, პატივისცემა, კეთილსინდისიერება, ზრუნვა, პასუხისმგებლიანობა, თანაბარი შესაძლებლობები, გუნდურობა, განვითარებაზე ორიენტირებულობა.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლის პრიორიტეტია ისეთი საკითხები, როგორიცაა მოსწავლის მიერ ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება, საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და სხვა. სკოლაში შექმნილია ისეთი გარემო, რომლის მთავარი პრიორიტეტი არის მოსწავლე, მისი შესაძლებლობების გამოვლენა და მისთვის ისეთი უნარების/ცოდნების და ფასეულობების გაზიარება, რომლითაც ღირსეულად დაიმკვიდრებს თავს თანამედროვე გამოწვევებით აღსავსე მსოფლიოში. სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის მისიის, ხედვისა და ფილოსოფიის



დოკუმენტში, სკოლის მისია და ხედვა ერთმანეთისგან არაა გამოყოფილი, ზოგადია და საჭიროებს მეტ კონკრეტიკას. სადაც სკოლის ინტერესებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე. უმჯობესია სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტში გამოიყოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების ნაწილი ერთმანეთისგან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მისიით და ხედვით, სკოლა უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცეა. აღნიშნულს უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების მიღწევით, სკოლის შიდა რეგულაციებით, სასკოლო სასწავლო გეგმით და სასკოლო ღონისძიებების მეშვეობით. სკოლის მთავარი პრიორიტეტი არის თანამშრომლობისა და კომუნიკაციის წახალისება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მიუხედავად მათი სოციალური თუ კულტურული მიკუთვნებულობისა, სკოლაში სისტემატიურად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ზეიმები და აქტივობები, გასვლითი გაკვეთილები. სკოლაში იდენტიფიცირებულია ფუნქცია-მოვალეობები და სტრუქტურა, აქტიურად მუშაობს ანგარიშვალდებულების სისტემა, წახალისებულია თანამშრომლობა და კომუნიკაცია საზოგადოების წევრებს შორის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შექმნილი აქვს ბრძანება სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის განმსაზღვრელი ჯგუფის შექმნის შესახებ. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა დაინტერესებული მხარეების: მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობელთა და დაინტერესებულ თემის წარმომადგენელთა სრული ჩართულობით. სამუშაო პროცესში მონაწილეობა მიიღო სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელმა. ბრძანებით განსაზღვრულმა ჯგუფის წევრებმა ფილოსოფიის შემუშავებამდე შეისწავლა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები. ანალიზის საფუძველზე მოხდა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების ფორმირება.

ინტერვიურებით ირკვევა, რომ აღნიშნულ პროცესში გარდა სამუშაო ჯგუფის წევრებისა, ჩართული იყო სკოლის პედაგოგიური საბჭო და სამეურვეო საბჭო. სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის და ღირებულებების) შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა გუნდური ძალისხმევით, თანამშრომლობითა და გააზრებული და გაზიარებული პასუხისმგებლობით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის სკოლის მისიის და ხედვის გაზიარებას. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულადაა გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი, წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების გუნდური მუშაობის პროდუქტს. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიურებით ირკვევა, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება რის შემდეგაც მოხდა პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, მიღებული უკუკავშირის შედეგების საფუძველზე მოხდა დოკუმენტის საბოლოო ფორმირება და სკოლის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსება, ასევე დოკუმენტი გამოკრულია სკოლაში თავსაჩინო ადგილას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ უზრუნველყოფილია სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების პროცესი, რაც გულისხმობს, როგორც მის ხელმისაწვდომობას, ასევე, თანამოქმედობითობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი (მისია, ხედვა და ღირებულებები) ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო



საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის, იგი განთავსებულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. სკოლის სახელწოდება „სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლა“ სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი: skolebi.emis.ge;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ფილოსოფიის შემუშავების ჯგუფის ბრძანება და ოქმი;
- სკოლის ფილოსოფია;
- გასაუბრება;

შეფასება:

ი გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ი შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;



4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის მიზანს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს, აღნიშნული დოკუმენტების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვისას სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას უშუალოდ დაგეგმვის პროცესში, ასევე შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებას, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრავს სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და საფრთხეებს. ჩატარებული სამუშაოების შემდგომ, არსებული შესაძლებლობის ფარგლებში. აფასებს საფრთხეებს, რაც საშუალებას იძლევა სკოლა მზად დახვდეს გამოწვევებს. სამუშაო ჯგუფი ასევე შეიმუშავებს სკოლის განვითარების სტრატეგიული მიზნების და განვითარების გეგმის სამუშაო ვერსიას, რის შემდეგაც უზრუნველყოფს დოკუმენტის სკოლის დირექტორისათვის წარდგენას. სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს დოკუმენტის საზოგადოებისათვის გაცნობას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირების შემდეგ დოკუმენტი წარედგინება სკოლის სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ხდება აღნიშნული დოკუმენტის გადახედვა საჭიროებიდან გამომდინარე შეასძლოა გადაიხედოს, პრიორიტეტები და აქტივობები, საჭირო გახდეს ცვლილების შეტანა სტრატეგიული განვითარების გეგმაში. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, სკოლის მეთოდოლოგიით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წინარე გამოცდილების შესწავლას, ხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება. ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია ზოგადი პრიორიტეტები. სტრატეგიულ გეგმაში სკოლა განსაზღვრავს, თუ რა მიმართულებით სურს სკოლას განაგრძოს განვითარება.

დღეის მდგომარეობით, სკოლას შემუშავებული აქვს 2023-2030 წლის სტრატეგიური განვითარების გეგმა, 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას კი, სკოლა ერთი მხრივ ხელმძღვანელობს სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან, ხოლო მეორე მხრივ, ითვალისწინებს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა სკოლის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით სკოლა



ყოველწლიურად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გამოყოფილია ძირითადი მიმართულებები, როგორცაა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, ორგანიზაციული პროცესების ეფექტური ფუნქციონირება, მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარება, აღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის გაწერილია შესაბამისი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ამოცანები ჩაშლილია კონკრეტულ აქტივობებად. მითითებულია შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები, ინდიკატორები და რესურსები. სამოქმედო გეგმის განხილვის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დოკუმენტში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელთა განხორციელებაც რეალისტურია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, სკოლა მონიტორინგში მოიაზრებს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების მიმართ პროგრესის შემოწმებას. მონიტორინგისთვის სკოლას განსაზღვრული აქვს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა წარმოადგინონ წერილობითი ანგარიში მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ შესაბამისი მტკიცებულებებით. სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე სკოლა აანალიზებს შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობების. ეფექტურობას. ამ ინფორმაციის ანალიზი დაწესებულებას ეხმარება შემდგომი წლის დაგეგმვის პროცესი უკეთესად წარმართოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა შვიდწლიან სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს განახორციელებს 3 (სამ) წელიწადში და მეშვიდე წელს,



შესაბამისად, სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს. ერთწლიანი სასწავლო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის მიმდინარეობისას მუდმივად და თითოეული სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სამეურვეო საბჭო ისმენს ანგარიშს ერთწლიანი გეგმის შესრულების თაობაზე, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. ანალიზებს რა შესრულდა და რა ვერ შესრულდა, რა იყო შეუსრულებლობის მიზეზები. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე კი, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. შესრულებული გეგმის ანალიზი წარმოადგენს შემდეგი დაგეგმვისა და ინსტიტუციის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ ინფორმაციას.

3. საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, სტრატეგიული გეგმის ანგარიშები წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. ამ მუხლით განსაზღვრული შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. კერძოდ, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგები დაწესებულებას ეხმარება გააანალიზოს მის მიერ დაშვებული შეცდომები და შემდგომი წლის დაგეგმვის პროცესი უკეთესად წარმართოს. მიღებული გამოცდილება გაითვალისწინოს შემდეგი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ფორმირებისას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან;

შეფასება

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას



1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმიანობის მომწესრიგებელი შიდა სასკოლო დოკუმენტაცია, კერძოდ: სკოლის დებულება, სტრუქტურული ერთეულის დებულებები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი. სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სკოლის დირექციას, ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, ტექნიკურ და სხვა მომსახურე პერსონალს, ასევე კოლეგიურ სტრუქტურულ ერთეულებს. (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი) სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ისე ჯგუფი, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. საჭიროებისამებრ, დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისიები, ინვენტარიზაციის კომისიები და სხვა. სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია ფუნქცია მოვალეობები თუმცა სკოლასა და მასწავლებელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ 11¹ მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი ფუნქციები. სკოლაში შესაბამისი დებულებით გაწერილია თანამდებობრივი ინსტრუქციები. იქედან გამომდინარე, რომ სკოლა მცირე კონტიგენტიანია, არ ყავს შესაბამისი კადრები მაგ. დირექტორის მოადგილე, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სკოლას ფუნქციები გადანაწილებული აქვს სკოლის სხვა თანამშრომლებზე. თუმცა ეს ოფიციალურად არ არის არცერთ დოკუმენტში დაფიქსირებული. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარადგინა მასწავლებლის ხელშეკრულებები, რომელშიდაც გათვალისწინებულია 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის 11¹ მუხლის მე-7, მე-8, და მე-9 პუნქტით დადგენილი ფუნქციები. სკოლამ წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია სადაც გაწერილია თანამდებობრივი ინსტრუქციები.

მასწავლებლების ნაწილს დირექტორის ბრძანებით დაკისრებული აქვს დამრიგებლის ფუნქცია და დამრიგებლის ვალდებულებების შესრულებისას მისთვის ცნობილია, რომ უნდა დაიცვას ეროვნული სასწავლო გეგმით დამრიგებლისთვის განსაზღვრული ვალდებულებები და სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დამრიგებლის მუშაობის დებულების მოთხოვნები. სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური და სამეურვეო საბჭო. რვა საგნობრივი კათედრა, რომლებშიც გაერთიანებული არიან პედაგოგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. კათედრის წევრი მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე და უზიარებენ გამოცდილებას. კათედრების შემადგენლობა და მუშაობის წესი აგრეთვე დამატებით რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით და კათედრის დებულებით. სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. დისციპლინურ კომიტეტში წარმოდგენილია თანაბარი რაოდენობით მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. დისციპლინური კომიტეტის



წარმომადგენლებს ასახელებენ სამეურვეო საბჭო (მშობლებს), პედაგოგიური საბჭო (მასწავლებლებს) და მოსწავლეთა თვითმმართველობა (მოსწავლეებს). სკოლაში საბაზო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები აირჩევიან ერთი წლის ვადით. არჩევნიდან 1 კვირის ვადაში კი შესაბამისი საფეხურების თვითმმართველობები ირჩევენ თავიანთ თავმჯდომარეებს. მოსწავლეთა თვითმმართველობები 1/5-ის ინიციატივით ქმნიან კლუბებს, ასევე შეიმუშავებენ ინიციატივებს სკოლის შინაგანაწესში შესატან ცვლილებებზე. მოსწავლეთა თვითმმართველობა საქმიანობას ასევე ახორციელებს თავისივე შექმნილი თვითმმართველობის დებულების ფარგლებში. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც იკრიბება წელიწადში სამჯერ. ჯგუფის წევრები ადგენენ მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრების გრაფიკს. ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. ჯგუფის საქმიანობა და კომპეტენციები ხორციელდება პროფესიული განვითარების სქემისა და შიდა რეგულირების დონეზე შემუშავებული პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შესაბამისად და აფასებენ მასწავლებლების მიერ შემუშავებულ კურიკულუმებს. მრჩეველთა საბჭო წარმოდგენილია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლით - დირექციის წარმომადგენელი, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, საბაზო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რესურსცენტრის წარმომადგენელი. მრჩეველთა საბჭო გადაწყვეტილებას იღებს და ამოწმებს ოქმის ფორმით. წელიწადში ერთხელ ისმენს დირექტორის ანგარიშს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის კუთხით. სკოლას ასევე ჰყავს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და მისი ფუნქციები გათვალისწინებულია სკოლის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ასევე, მათი საქმიანობა რეგულირებულია მანდატურის ეთიკის კოდექსით. ისგ ჯგუფი ფუნქციების განხორციელებისას ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით, სასკოლო სასწავლო გეგმით, ასევე, მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციებით. ინკლუზიური განვითარების შიდა მონიტორინგის ჯგუფი ხელმძღვანელობს მონიტორინგის ჯგუფის დებულებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესებით. სკოლის ექთანი გარდა შრომითი ხელშეკრულებისა ფუნქციების განხორციელებისას ხელმძღვანელობს სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/ ფუნქციონირების წესითა და ამ წესის შესაბამისად, სკოლის მიერ შემუშავებული სამედიცინო დახმარების მექანიზმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. ყველა თანამშრომლის, მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, ფუნქციების განაწილებით და შინაგანაწესით სკოლაში დასაქმებულ პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სკოლის სტრუქტურის თითოეულმა წევრმა იცის საკუთარი მოვალეობები და როლი სასკოლო საზოგადოებაში. თითოეულ სტრუქტურულ რგოლზე მოვალეობების დაკისრებითა და შესრულებით ხდება სკოლის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება. საგნობრივი კათედრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ქმნიან განახლებულ სასწავლო პროგრამებსა და სასწავლო რესურსებს. სკოლის სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომლები ჩართულები არიან სასკოლო ცხოვრებაში, ისინი სხდომებზე



წარადგენენ რეკომენდაციებს, იღებენ გადაწყვეტილებებს უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილვენ და აჯამებენ მიმდინარე პროცესებს. აგრეთვე, წლის ბოლოს წარადგენენ ანგარიშებს წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- თვითმმართველობის დებულება;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- სტრატეგიული გეგმა; ერთწლიანი გეგმა;
- კათედრის დებულება.
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და ოქმი;

შეფასება

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. დაწესებულებას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. (საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“, საქართველოს ორგანულ კანონს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“ ა.შ., ასევე, სკოლის პერსონალის შერჩევისასთან, საქმიანობის შეფასებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან დადგენილ რეგულაციებს, „ეროვნული სასწავლო გეგმის“ მიხედვით საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პრინციპებს). სკოლის მიერ დანერგილი ადამიანური რესურსების მართვის პროცესები მოიცავს, როგორც მასწავლებლების, ასევე სხვა ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მართვას. ჩვენს სკოლაში არსებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სკოლის თანამშრომლობით ყველა რგოლის კოორდინირებული, შეთანხმებული საქმიანობა განაპირობებს სკოლის საქმიანობის ეფექტიანობას. „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა



და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ ფორმა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების ბრძანება N01-15/ნ შესაბამისად, სკოლა აწარმოებს სამუშაო დროის აღწერის ფორმას. სადაც ფიქსირდება მასწავლებლის გაცდენისა და ჩანაცვლების პროცესი. ჩანაცვლება, შეძლებისდაგვარად, ხორციელდება შიდა კადრებით, დირექტორი, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცხრილის ერთჯერადად ან დროებით ცვლილებას იმისათვის, რომ საფრთხე არ შეექმნას სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა ზრუნავს არსებული კადრების შენარჩუნებასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე. საჭიროების შემთხვევაში ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე. კათედრის წევრები, დირექტორი და ხარისხის განვითარების ჯგუფი ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე, რის შემდეგაც შეფასების ჯგუფის წევრები აძლევენ უკუკავშირის მასწავლებლებს. მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე, გამოცდილების გაზიარების მიზნით. პროფესიული განვითარების მიზნით მასწავლებლები ესწრებიან ტრენინგებს. სკოლის ადმინისტრაცია თანამშრომლობს სკოლის მასწავლებლებთან, დამრიგებლებთან, ისე ჯგუფთან და მათგან იღებს ინფორმაციას, ესაჭიროება თუ არა მოსწავლეს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, ან თუ მოსწავლეს უკვე უწევს დახმარებას ასეთი სპეციალისტი, დამატებით ესაჭიროება თუ არა სხვა სპეციალისტი. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სკოლა ახორციელებს შესაბამის პროცედურებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. სკოლის მასწავლებლები შერჩეულები არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესისა“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად. პედაგოგთა/ სპეც მასწავლებლების შერჩევა ხდება შიდა ან/და ღია კონკურსის საფუძველზე. დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკურსის ვადები, ეტაპები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. საკონკურსო კომისია კანდიდატს არჩევს და აფასებს მის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. კონკურსი ცხადდება დასაქმების ვებგვერდზე teacherjobs.ge. კონკურსის ჩატარება ვაკანტურ თანამდებობაზე ხდება შესაბამისი წესების დაცვით. სკოლის დანარჩენი პერსონალის შერჩევა, ხდება დირექციასთან გასაუბრების გზით, ასევე, კონკურსის გზით. სკოლას დამტკიცებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული ვაკანტური პოზიციისათვის.

დაწესებულების მიერ განსაზღვრული პოლიტიკა, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უზრუნველყოფს სკოლაში პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში შემუშავებულია თითოეული პოზიციისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობების შესაბამისად, ამასთან, დადგენილია თანამდებობებზე აყვანის პროცედურები როგორც ადმინისტრაციული, ისე მასწავლებლის თანამდებობის დაკავებისათვის. სკოლის მიერ განსაზღვრულია თანამდებობებზე (როგორც ადმინისტრაციული, ისე პედაგოგების) აყვანის პროცედურები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებთან. მათ შორის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. დაწესებულებას სკოლის ექთანის აყვანილი ყავს შესაბამისი სახელმწიფო რეგულაციების



და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დაწესებულებამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები, სადაც თანამშრომელთა უმეტესობას არ ქონდა წარმოდგენილი უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა ცნობები უფლება ჩამორთმევის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის ცნობები.

(2020 წლის 23 ივლისი საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაწესებულებები ვალდებული არიან, პირს დაწესებულებაში დასაქმებამდე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად, მოსთხოვონ სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია, მათ შორის, მოხსნილი ან/და გაქარწყლებული ნასამართლობის შესახებ, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს უფლების ჩამორთმევის შესახებ ასევე ნასამართლეობის შესახებ ცნობა. („ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1² პუნქტის მიხედვით, მასწავლებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ნასამართლეოა განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში დასაქმებული მასწავლებლებისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს აქვთ ზოგადი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრული კვალიფიკაცია. სკოლაში დასაქმებულია 14 მასწავლებელი ასევე საათები გადანაწილებული აქვთ სკოლის დირექტორის და საქმის მწარმოებელს, 13 მასწავლებელს დირექტორის და საქმის მწარმოებელს დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია და სქემაში განაწილებული არიან, როგორც უფროსი მასწავლებლები. ერთი მასწავლებელი არის უსტატუსო. სკოლაში აღნიშნული მასწავლებლები შერჩეულები არიან კონკურსის საფუძველზე, დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, დასაქმებულის დროებით ჩანაცვლების მიზნით სკოლა ხელშეკრულებას აფორმებს შემცვლელ მასწავლებელთან. სკოლაში დასაქმებული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი დასაქმებული არის კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაციის შესაბამისად, კონკურსის წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და სკოლაში დასაქმებულ პირებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს და გადაწყვეტილების მიღება/განხორციელება ხდება თანამშრომელთა მაქსიმალური ჩართულობით, როგორც კათედრების დონეზე, ისე დირექციის აქტიური ჩართულობით. სკოლის ყველა თანამშრომელი გამოირჩევა გუნდურობით, მაღალი პასუხისმგებლობით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. კათედრებსა და სკოლის დირექციის



ერთ- ერთი პრიორიტეტია , რომ იყოს წარმატებული გამოცდილების გაანალიზება ,გაზიარება და სკოლაში დანერგვა. ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები,პროფესიული განვითარების და გამოცდილების გაზიარების მიზნით. სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მაღლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დაწყებითი, საბაზო საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის, ეროვნულ ან/და საერთაშორისო ოლიმპიადებში წარმატებით მონაწილეობისათვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სანიმუშო სწავლისათვის ან სხვა გარემოების არსებობისას დირექტორის გადაწყვეტილებით სკოლა უფლებამოსილია მოსწავლეთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მაღლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; სკოლას სურს უფრო ქმედითი გახადოს წახალისების სისტემები, წახალისებაზე გამოყოს სახსრები, წახალისოს ღონისძიებები და სასკოლო საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლების მიზნით ხშირად გამოიყენოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შრომითი ხელშეკრულება; 3. სკოლის შინაგანაწესი;
- ჩანაცვლების დროს საათების გადანაწილების ბრძანება;
- კონკურსის მასალები;
- საკონკრსო კომისიების ოქმები;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას კითხვარების მეშვეობით. დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დასაქმებული პირების შეფასებას ახორციელებს უშუალო ხელმძღვანელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. სკოლის დირექციასთან გასაუბრების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ დაგეგმილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ჩამოყალიბება, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ დოკუმენტით გათვალისწინებული წესით. სკოლას შექმნილი აქვს შესაბამისი დოკუმენტი-ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის დებულება. სკოლის ადამიანური რესურსის განვითარება განხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე დაგეგმილი ღონისძიებების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. სკოლა პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას ახორციელებს პროფესიული განვითარების მიზნით არსებული აქტივობების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების გზით. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე აწვდის განმავითარებელ უკუკავშირს. შემუშავებულია ურთიერთდასწრების ფორმები. კათედრები მუშაობენ კოორდინირებულად და ესწრებიან ერთმანეთის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. სკოლამ შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. აღნიშნულის ფარგლებში სკოლა დანერგავს თვითშეფასების სისტემას და გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაიგეგმება შესაბამისი გზები. აღნიშნულ პროცესს სკოლა მაქსიმალურად დაუჭერს მხარს პერიოდული ტრენინგების შეთავაზებით როგორც სკოლის შიგნით, ასევე გარედან მიღებული სერვისებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**



4. სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოში ორიენტაციისა და ინტეგრაციის მხარდამჭერ მექანიზმებს. დოკუმენტის თანახმად, თანამშრომლობის დაწყებამდე შესაბამისი თანამდებობისთვის განსაზღვრული უშუალო ხელმძღვანელი ახალ თანამშრომელს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სხვა წესებს/რეგულაციებს, თანამშრომლის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით და ეხმარება ადაპტაციაში. **ინდიკატორია დაკმაყოფილებულია**
5. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმი. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი. სკოლა მომავალი წლისათვის გაითვალისწინებს პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ადამიანურ და მატერიალურ რესურსს. **ინდიკატორია დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმი; კათედრის ურთიერთდასწრების ოქმი;
- ხარისხის ჯგუფის ოქმები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში მისი ავტორიზაციის შემდეგ პროცესების მართვა ორიენტირებული იქნება ხარისხის განვითარებაზე, რომელიც დაეფუძნება შემდეგ ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, განვითარება. ეს ეხება როგორც სასკოლო კურიკულუმებს და სასწავლო პროცესს, ასევე დამხმარე პროცესებს სკოლის პერსონალის შეფასებას, საჭიროების გამოვლენას და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელებას, სკოლის მატერიალური რესურსის შეფასებას სასწავლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე და განვითარებას. აღნიშნული პროცესები დოკუმენტაციის მიხედვით თანხმდება სკოლაში არსებულ ყველა სამუშაო რგოლთან, რომელსაც კოორდინირებას უწევს დირექტორი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას იგივე სკოლის მმართველობითი პროცესის მართვას, სკოლა უზრუნველყოფს საქმიანობას მარეგულირებელი დოკუმენტებითა და საკანონმდებლო რეგულაციებით. სასკოლო კურიკულუმში, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში, სკოლის შინაგანაწესში და თანამდებობრივ ინსტრუქციებში იდენტიფიცირებული და აღწერილია თითოეული რგოლის მიერ შესასრულებელი ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, რა ნაბიჯებითა და ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრის განხილვის წესი, რომელიც დაინტერესებულ პერსონალს/მოსწავლეს/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს საშუალებას მისცემს, გაასაჩივროს სკოლის მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე, გაასაჩივროს ორგანიზაციის თანამშრომლის ქმედება, თუ პირი ჩათვლის რომ მისი უფლება ილახება. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი საჩივრის განხილვის პროცედურა. მოსწავლეებთან მიმართებით, დოკუმენტი შემუშავებულია “ბავშვის უფლებათა კოდექსის” მოთხოვნების გათვალისწინებით და ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის რეალიზებას. მოსწავლესთან კომუნიკაცია წარიმართება ასაკის და ინდივიდუალური განვითარების თავისებურების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



4. სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე, სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომლეთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშეკრულების პირობების გაცნობით, სკოლის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობით ადმინისტრაციისა და დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დირექტორი ან დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც იხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და რეკომენდაციებს წარუდგენს სკოლის დირექტორს შესაბამისი რეაგირებისთვის. სკოლაში ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (არაა სერტიფიცირებული) და მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების წესი. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე იზღუდება სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრის უფლება, სკოლა მას განუმარტავს უფლების შეზღუდვის საფუძველსა და აუცილებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- კონკურსის წესი, სკოლის შინაგანაწესი.
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულება,
- დისციპლინური კომიტეტის დებულება

შეფასება:

ი გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ი შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეციალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შედგენილია მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული დოკუმენტები, რომელიც იტვირთება სკოლის ვებგვერდზე და მათი საჯაროობა იქნება უზრუნველყოფილი, რომლის განცობის ვალდებულება სკოლის ყველა თანამშრომელს და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ექნება. სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება საქმიანობის პერიოდული ანგარიშების გაცნობა სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. სკოლაში შემუშავებული ახალი რეგულაციები (ან/და ცვლილებები) სისტემატიურად იქნება გაზიარებული სასკოლო საზოგადოების წევრებთან, მათი რეკომენდაციებისა და მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. სკოლის მართვის პროცესში სკოლის მმართველობითი გუნდი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს კათედრებს, რომლებიც გააერთიანებს ყველა შესაბამისი საგნის მასწავლებელს. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, ასევე მრჩეველთა საბჭო, კომისიები) მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის წევრობა, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სხვა დასაქმებულ პირებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი
- სამეოურვეო საბჭოს ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება



3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ნებისმიერი პირის ფიზიკური უსაფრთხოება. სკოლის ტერიტორია შემოღობილია და დაცულია. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა უზრუნველყოფილია, იმ პირის მიერ, რომელსაც შეთავსებული აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია მოვალეობები და ექთნის თანამდებობებისათვის განსაზღვრული სამუშაო ფუნქციების შესრულებით, ასევე მანდატურის ფუნქციის შემსრულებლის მიერ. დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ სკოლაში უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიცირება. სკოლის ეზო დაცულია ღობით, უცხო პირები სკოლაში დაიშვებიან მხოლოდ წინასწარ შეთანხმებით, ხდება სკოლაში შემოსული პირების აღრიცხვა. შენობაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, კერძოდ, შენობაში ვიზიტის პერიოდში დამონატაჟებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია. სკოლამ დოკუმენტურად წარმოადგინა საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებისას მოხდა საევაკუაციო გეგმების განთავსება სკოლის შენობაში, შესაბამისი წესებისა და პროცედურების დაცვით. ყველა სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა და ცეცხლჩამქრობი. ორგანიზაციას შემუშავებული აქვს სამედიცინო კაბინეტის დებულება, სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია



სამედიცინო კაბინეტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების კონტროლს. გათავისუფლებამდე ხდება მოსწავლის მშობლის ინფორმირება. ასევე, ყურადღება ეთმობა მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზების დადგენას. ყოველდღიურად, სწავლის დაწყებისთანავე კლასის დამრიგებელი ადგენს მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზს. ასევე, დაგვიანების შემთხვევებში საპატიო მიზეზის არარსებობის შემთხვევაში ხდება სკოლის უფლებამოსილი პირის ინფორმირება, სკოლის შინაგანაწესით დადგენილი ღონისძიებების გატარების მიზნით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი. აგრეთვე დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია და განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში დადგენილია სართულებზე მორიგების გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ სკოლაში წესრიგს. მკაცრად კონტროლდება სკოლაში გარეშე პირთა შემოსვლა. სკოლის შინაგანაწესით მშობლებისათვის განსაზღვრულია ვიზიტის პერიოდი. გამოწვევის შემთხვევაში გარეშე პირთა სკოლაში შემოსვლა დაიშვება დირექციასთან შეთანხმებით.

სკოლას დაწყებული აქვს კომუნიკაცია უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლის შენობის მდგრადობის დოკუმენტი სკოლას არ აქვს, თუმცა ამ შემთხვევაშიც დაწყებულია კომუნიკაცია შესაბამის უწყებასთან.

სკოლას არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის უწყებასთან.

არგუმენტირებული პოზიის წარმოდგენისას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. რის შემდეგაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დააჩქაროს შესაბამის უფლებამოსილ უწყებებთან სკოლაში უსაფრთხოების გამდიერებისა და დაცვის მიზნით საგანგებო გეგმის შეთანხმება და სახანძრო უსაფრთხოების გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის დოკუმენტი.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით შემუშავდა სპეციალური წესი, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ №06/ნ ბრძანების მოთხოვნებს. წესი მოიცავს ინფორმაციას უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების, ასევე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექთანი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და



საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის კაბინეტი ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად, ასევე სკოლას დამტკიცებული აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“. სკოლის ეზო არის შემოღობილი და დაცული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი და სკოლის პერსონალი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით.“ შინაგანაწესით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით სკოლა დისციპლინური წარმოების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, თუმცა მნიშვნელოვანია ასევე სკოლის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები. პერიოდულად სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ხვდება მოსწავლეებს და საუბრობს მათთან სხვადასხვა საკითხებზე. ასევე, პერიოდულად, საჭიროებიდან გამომდინარე, პრევენციის მიზნით სკოლის დირექციის ინიციატივითა და კლასის დამრიგებლების და მშობლების ჩართულობით იმართება შეხვედრები, რათა გამოიკვეთოს შესაძლო პრობლემები და საჭიროებები. სკოლის მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და რეფერირების განხორციელების შიდა პროცედურები. სკოლას შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული აქვს მანდატურის სამსახურის მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზის და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის ნომერი. სკოლის თანამშრომლები ყურადღებით აკვირდებიან ბავშვთა საჭიროებებს მათზე ჯეროვნად რეაგირებაში. თითოეული თანამშრომელი ინფორმირებულია ძალადობის ნიშნების ამოცნობის გზებზე და ინფორმაციის რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე. დამრიგებლების მიერ ტარდება სადამრიგებლო საათი, რომლის ფარგლებშიც დამრიგებელი ასაკის შესაბამისად მუშაობს შემდეგ მიმართულებებზე: მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბულინგი, პიროვნული და სოციალური განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლას აქვს ყველა საჭირო რესურსი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად. სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში. სკოლაში განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვასა და სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე ზედამხედველი პირი, რომელიც აღწერს სკოლაში არსებული სამეურნეო საქონლის მარაგებს და ადგენს შევსების საჭიროებას. აღნიშნული პირი დამლაგებლებზე გასცემს საჭირო ინვენტარსა და სანიტარული ნორმების დასაცავად საჭირო ქიმიურ საშუალებებს. დამლაგებლები უზრუნველყოფენ დასუფთავებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების („წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“) შესაბამისად - „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“. სკოლის ექთანი ზედამხედველობს სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას. აწვდის ინფორმაციას სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ.



ზედამხედველობს სკოლაში სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას გარდა ამისა სკოლის შენობაში განკუთვნილია სპეციალური სათავსო სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმიის და სადეზინფექციო საშუალებები, შეინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ოთახში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სადაც განსაზღვრულია იმ პირთა ვალდებულებები, რომლებსაც უწევთ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება. სკოლასა და მშობელს შორის, ასევე სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია შესაბამისი მუხლი, რომლის საფუძველზეც მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ დამუშავდეს პერსონალური ინფორმაცია. მესამე პირების მიერ პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით თანხმობების მოპოვებას ან მონაცემთა დაშიფრვას. პირადი საქმეები ინახება სკოლაში დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, დირექტორის მოადგილეს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

7. სკოლის მიერ დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებით“ დეტალურადაა განსაზღვრული სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. კერძოდ: განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მონაცემებზე, ასევე დადგენილია სკოლის შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით დაშვების სისტემის წვდომაზე უფლებამოსილი პირები, განსაზღვრულია მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე წვდომაზე, სკოლაში დამუშავებულ მონაცემების წვდომაზე, ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და მკაცრად აკონტროლებს პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

8. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა კანონიერი დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება მისი საქმიანობის პერიოდული



მონიტორინგი. კერძოდ, საგაკვეთილო პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგის მიზნით, მხოლოდ წინასწარი გაფრთხილების შემდეგ, სკოლის დირექტორსა და დამრიგებელს შეუძლიათ დაესწრონ გაკვეთილს. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი შერჩევითი პრინციპით, ესწრება გაკვეთილებს და თვალს ადევნებს მოსწავლეთა მონაცემების დაცვის წესების შესრულებას. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია დირექტორის წინაშე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი პირის მიმართ გატარდება შესაბამისი ღონისძიებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ, ბრძანება
- სართულებზე მორიგეობის გრაფიკი,
- ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რეგულირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.
- შინაგანაწესი; სადამრიგებლო პროგრამა
- დამლაგებლის ხელშეკრულება; ექთნის ხელშეკრულებები;
- მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება; პერსონალურ მონაცემების დამუშავებაზე თანამშრომლი თანხმობის ხელწერილი;
- წერილი სახანძრო უსაფრთხოებაზე
- წერილი შენობის მდგრადობის შეფასების შესახებ



შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 4142 კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 3622,2 კვ.მ შენობა-ნაგებობა. სკოლა განთავსებულია 2 სართულზე და არ გააჩნია ნულოვანი სართული. სულ სკოლაში არის 10 საკლასო ოთახი, აქედან 9 საკლასო ოთახი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, მერხებით სკამებით, სასკოლო დაფით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით, ოთახების უმრავლესობა აღჭურვილია პროექტორებით. სკოლაში ასევე არის ოთახები დირექციისათვის, კანცელარია, სამედიცინო კაბინეტი, დარაჯის ოთახი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რესურს ოთახი, კვების ბლოკი, რომელიც არ ფუნქციონირებს, შიდა ეზო. სამასწავლებლო აღჭურვილია მაგიდებით, კარადებით, პრინტერით. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით. სკოლას აქვს სპორტული ინვენტარი: კალათბურთისა და ფრენბურთის ბადეები,



სპორტული სავარჯიშო კიბე, ფიშკა ბარიერი სხვადასხვა ზომის. სკოლას აქვს 1 ტელევიზორი, 1 პიანინო და დინამიკები, რომელთა გამოყენება ხდება სხვადასხვა ღონისძიებების დროს. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ყველა სართულზე განთავსებულია გოგონების, ვაჟებისა და მასწავლებლების სველი წერტილები (ჯამში 12), მათ შორის ორივე სართულზე განთავსებულია 2 ადაპტირებული სველი წერტილი, ერთი გოგონებისა და ერთი ვაჟების. ვიზიტის პერიოდში Eschool-ის ბაზის მიხედვით სკოლაში სწავლობს 95 მოსწავლე, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთ ცვლაში. ეტაპობრივად მიმდინარეობს სკოლის ინფრასტრუქტურის კიდევ განვითარება. სკოლაში არის ცენტრალური გათბობის სისტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით სარგებლობის წესების შესახებ. მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუზღუდავად შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის ბიბლიოთეკით. სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამ პროცესებში ჩართულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა, ინვენტარი. სხვადასხვა სპორტული თუ ინტელექტუალური ღონისძიებების დროს მოსწავლეები სარგებლობენ საჭირო ინვენტარით. ასევე, სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ მუდმივად გამოიყენონ კომპიუტერები, პრინტერი და სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები. სკოლის სამასწავლებლო მოწყობილია ისე, რომ მასწავლებლებმა თავი იგრძნონ კომფორტულად. სკოლაში არსებული რესურსოთახი სრულადაა აღჭურვილი სათანადო რესურსით და მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ მათი შეუზღუდავად, საჭიროებისამებრ გამოყენების. სკოლას არ გააჩნია სპორტული დარბაზი და სააქტო დარბაზი, მაგრამ აქვს სპორტული მოედანი, სადაც ტარდება სხვადასხვა სახის შეჯიბრებები. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში ტარდება საინტერესო სპორტის გაკვეთილები და სპორტული აქტივობები, ეწყობა შეჯიბრებები. ამაში მათ ეხმარება ის სპორტული ინვენტარი, რაც სკოლას აქვს, კონცერტები, გამოსაშვები საღამოები კი ტარდება სკოლის ფოიეში/ბიბლიოთეკაში. სსსმ მოსწავლეები სარგებლობენ რესურსოთახით, ყველა საჭირო ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შეიქმნას ინკლუზიური გარემო. სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. ასევე სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი. სსსმ მოსწავლეებისათვის მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი ყველა სართულზე. რესურსოთახი სრულადაა აღჭურვილი სათანადო რესურსით. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ სასწავლო პროცესში საჭიროებისამებრ. სკოლის ბიბლიოთეკა, ეზო ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეთათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით მრავალ აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს როგორც შიდა ასევე გარე სივრცეებს. სკოლის ეზოში სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს ეწყობა



ღონისძიებები, პირველკლასელთა მიღება საზეიმოდ და მე-9 კლასელების ბოლო ზარის ღონისძიებები. იმართება როგორც კულტურული ღონისძიებები, ისე შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. ამგვარი შეხვედრები მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით. სკოლის სპორტულ მოედანზე იმართება სპორტული აქტივობები. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მათთვის საინტერესო საკითხებზე იმსჯელონ ბიბლიოთეკაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლას გააჩნია რესურსები სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, ბიბლიოთეკაში არის გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები და საკითხავი ლიტერატურა, ასევე პლაკატები რუკები და სხვა სასწავლო რესურსები, მათ შორის ელექტრონულიც. ყველა მოსწავლე სრულადაა უზრუნველყოფილი სასკოლო სახელმძღვანელოებით, რომელიც ყოველი წლის დასაწყისში მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლას აქვს, როგორც შესაბამისი თვალსაჩინოებები, სხვადასხვა ინვენტარი, ისე კონკრეტულ საჭიროებზე მორგებული სახელმძღვანელო. სკოლის ბიბლიოთეკას აქტიურად სარგებლობენ სკოლის მოსწავლეები. ბიბლიოთეკა მუშაობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის მუშაობის წესით და ასრულებს სასწავლო პროცესის მხარდამჭერის ფუნქციას. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ეხმარება მოსწავლეებს სათანადო ლიტერატურის შერჩევაში. იქედან გამომდინარე რომ სკოლა ახალი რეაბილიტირებულია, სკოლის ბიბლიოთეკის სრული აღჭურვა ვიზიტის პერიოდშიც მიმდინარეობდა. ბიბლიოთეკართან და სკოლის სხვა წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე, სკოლის წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა, სკოლის ბიბლიოთეკა გაამდიდრონ უფრო მეტი საბავშვო/საკიტხავი ლიტერატურით, მოეწყოს ბიბლიოთეკარის ინიციატივით სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო ღონისძიებები, მაგალითად კითხვის საათი, პოეზიის საღამო და სხვა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სასკოლო სასწავლო გეგმა, ბიბლიოთეკის დებულება,
- ხელშეკრულება მშობლებთან სახელმძღვანელოების გადაცემაზე;
- საინვენტარო აღწერილობის აქტები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;

შეფასება:



o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფლობს კომპიუტერულ ლაბორატორიას, რომელიც აღჭურვილია 13 კომპიუტერით. სკოლას აქვს 34 პერსონალური და სულ სკოლას აქვს 7 პროექტორი და 1 ფერადი პრინტერი, A4 ფორმატის 4 პრინტერი. მასწავლებლები მათთვის გადაცემული ლეპტოპებით სარგებლობენ სასწავლო პროცესში. კომპიუტერული ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. საკლასო ოთახების დიდ ნაწილში დამონტაჟებულია პროექტორები. პროექტორები ხშირად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესის დროს, ასევე ღონისძიებების მიმდინარეობისას და სასკოლო პროექტების განხორციელებისას. მასწავლებლები პროექტორის მეშვეობით ახდენენ ფილმების ჩვენებას საგაკვეთილო თემებზე. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომლის მეშვეობითაც მშობელს ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს თავისი შვილის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია. სკოლას ჰყავს კვალიფიციური მასწავლებელი, რომელიც საჭიროებისამებრ ეხმარება სკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში. ხოლო კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განთლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან გამოყოფილი სპეციალისტი. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფილია საჭირო მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების



ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. ბაზის მუდმივი განახლება, დახვეწა, ახალი ელექტრონული რესურსების დანერგვა და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესება, რათა მოხდეს სასწავლო პროცესში წარმოშობილი ტექნიკური ხარვეზების მინიმუმდე დაყვანა. იმისათვის, რომ სკოლამ ფეხი აუწყოს თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნებს, სკოლამ მიზნად დაისახა ციფრული ტრანსფორმაცია, რაც ასევე ასახა მისიაში. მისიის აღსრულებისთვის, 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი ითვალისწინებს ციფრული ტექნოლოგიების გაუმჯობესებას და ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა, რაც ასევე ასახულია 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის კომპიუტერები და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის და უზრუნველყოფს მის თანაბარ ხელმისაწვდომობას. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის განრიგი, სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები. აღნიშნული წესების თანახმად, კომპიუტერული ტექნიკის მომხმარებელი უფლებამოსილია შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსებით. გარდა ამისა წარმოდგენილი კურიკულუმებით მოსწავლეთა ნამიშევრებით, რომელიც გაფოენილია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. ჩანს, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორი - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ციფრული განვითარების გეგმა;

შეფასება:



ო გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ო შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საქმისწარმოებას ახორციელებს მის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. სკოლას აქვს კანცელარია და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელსაც მინიჭებული აქვს მომხმარებლის სახელი და პაროლი და ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციას. გარე კომუნიკაციისთვის სკოლა ასევე იყენებს საქართველოს ფოსტის მომსახურებას. საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; აწარმოებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას; სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას; იღებს შემოსულ კორესპოდენციას, ამუშავებს და არეგისტრირებს ელექტრონულ სისტემაში; უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. წერილებსა და სამსახურეობრივ ბარათებს სარეგისტრაციო ნომრები და თარიღები ავტომატურად ენიჭება Eflow-ში რეგისტრაციის მიხედვით. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. ჟურნალები დანომრილია, აკინძულია და დამოქმედებულია სკოლის ბეჭდითა და ხელმოწერით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - Eflow- მეშვეობით. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის



საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმის მწარმოებელი. . მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს სისტემის მეშვეობით, Eflow-ს სისტემასთან კოორდინაციით. eSchool-ის ასევე შეყვანილი ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ, მასშივე ხდება წევრების ცვლილების რეგისტრაცია. საშტატო განრიგის პროექტის შეთანხმება. აგრეთვე, ინფორმაციის და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა bitsmendi@mes.gov.ge. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა და ინდივიდუალური მომხმარებლის გვერდი eflow-ს ელექტრონულ სისტემაში, საიდანაც მათ აქვთ შესაძლებლობა სკოლის დირექციას მიმართონ სამსახურეობრივი ბარათებით და განცხადებებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპოდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. (E-school.emis.ge), სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია და ატვირთულია მულტიმედია პორტალის გუნდის დასკვნები და მიმაგრებულია სპეცმასწავლებელი. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
4. სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ვადების და პროცედურების დაცვით ხდება ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან. სამეურვეო საბჭოს და მრჩეველთა საბჭოს ოქმით დასტურდება სკოლის დირექტორის მიერ წლიური ანგარიშის წარდგენის ფაქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- eSchool.emis.ge-ს, Eflow-ს, ელ.ფოსტის მისამართი: bitsmindi@mes.gov.ge
- eSchool.emis.ge-ზე სკოლის პროფილი
- საქმისწარმოების წესი;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- 10 დეკემბრის ანგარიშზე წერილები;
- 10 დეკემბრის ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ

შეფასება:

ი გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ი შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას : სკოლის მისია,ხედვა ღირებულებები, სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრატეგიული გეგმა,სკოლის სტრუქტურა, მოსწავლის მხარდაჭერი სერვისები, საკონტაქტო ინფორმაცია. პროგრამები და პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. სკოლას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ვალდებულება გაავრცელოს მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე ან/ვებ-გვერდზე ან დახურულ ჯგუფებში, მშობელთა კრებაზე . ელექტრონული ფოსტით ან ტელეფონით. გაზიარებული ინფორმაცია შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლას შეუძლია ინფორმაცია მიიღოს დამრიგებლების მშობლებთან კომუნიკაციის გზით. სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაციას სკოლა იყენებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. სკოლას აქვს შემუშავებული კითხვარები, რომელიც ანონიმური, მიმდინარე წელს გამოკითხული იქნა მოსწავლეები მშობლები და მასწავლებლები და მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით ამოწმებს რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი.დაწესებულია მშობელთა ვიზიტის დღე. მოსწავლეებს, მშობლებს, ადგილობრივ თემს შესაძლებლობა აქვს სკოლის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივები მიაწოდოს ხელმძღვანელობას. ინიციატივებს განიხილავს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დირექციასთან ერთად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში სწავლების ენა არის ქართული შესაბამისად ნებისმიერი ინფორაცია ვებ-გვერდზე და სკოლის მიერ გამოყენებულ ინტერნეტ სივრცეებში არის ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლას აქვს ვებ გვერდი სკოლების პორტალი - skolebi.emis.ge ,რომელზედაც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი skolebi.emis.ge

შეფასება:

ი გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ი შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე და კომუნალურ გადასახადებზე. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საოფისე ხარჯები და მცირე ხარჯები. (სამოქმედო გეგმაში გაწერილია). სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექიმის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას, აგრეთვე მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობით განისაზღვრება. ზემოთ ხსენებული ფინანსური შემოსავლების გარდა, ეკონომიკური საქმიანობით (იჯარით გაცემული ფართი) სკოლა მოიპოვებს დამატებით შემოსავლებს, რაც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და დამატებითი რესურსების მობილიზებაზე მიემართება; შესაბამისად, არსებული მდგომარეობით, სკოლას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი დადგენილი წესის მიხედვით შეუფერხებლად წარმართოს სასწავლო პროცესი და უზრუნველყოს აუცილებელი ფინანსური ხარჯები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ახალი სასწავლო წლის სკოლის ბიუჯეტის პროექტს. ბიუჯეტის



პროექტი ითვალისწინებს, როგორც სავარაუდო შემოსავლებს ასევე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიუჯეტის დამტკიცების ოქმი;
- 10 დეკემბრის ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;

შეფასება:

ი გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ი შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია 2023-2024 წლის სასწავლო გეგმაში , 2023-2024



სასწავლო კურიკულუმში და შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესი , ცალკე მუხლებად გამოყოფს: მოსწავლის წახალისების ფორმებს ,მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეებს, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესს, სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლეების მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის ქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით. მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლის ქცევის კოდექსი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია 2023-2024 წლის სასწავლო გეგმაში , 2023-2024 სასწავლო კურიკულუმში და შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესი , ცალკე მუხლებად გამოყოფს: მოსწავლის წახალისების ფორმებს ,მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეებს, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესს, სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლეების მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის ქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით. მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლის ქცევის კოდექსი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენება, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავების გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, დამატებითი პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- კურიკულუმი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ზეპირი ინტერვიუ;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით, კერძოდ: “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით” (საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04/ნ (11/01/2017)), მოსწავლეთა ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმებას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა ეტაპობრივად მიყვება აღნიშნული კანონის აღსრულებას: მოსწავლის მობილობის შესახებ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. დამრიგებლების დებულების თანახმად, კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს, 10 / 20 /45 დღე უწყვეტად გაცდენის შემთხვევაში დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე მიმართავს დირექტორს სტატუსის შეჩერების /შეწყვეტის შესახებ. სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მართვის საინფორმაციო სისტემის E-school.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. სკოლა სთავაზობს მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს არჩევანს მომავალი სასწავლო წლისთვის მეორე სავალდებულო უცხოური ენის ასარჩევად. (იტალიური, რუსული) ამ მიზნით მშობელთა კრებებზე დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას. სკოლის მიერ იჯარით გაცემულ ფართზე. სკოლაში ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს ბუფეტი, სკოლაში პირველკლასელთა მიღებისას იმართება ღია კარის დღეები, რა დროსაც სკოლაში მოდიან მოსწავლეები და მშობლები, მათ სკოლა აცნობს დამრიგებლებს, სკოლის მიერ შეთავაზებულ სერვისებს და პროგრამებს. კლასების დამრიგებლები მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან სადამრიგებლო კლასების მშობლებთან და აწვდიან სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას, როგორც ინდივიდუალურ შეხვედრებზე, ასევე მშობელთა კრებებზე. აცნობენ სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც საჯარო ინფორმაციას აწვდის სკოლის კანცელარიაში შემოსულ ნებისმიერ პირს, შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სერვისების და დამატებითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის ყველასათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან მიმართებით მის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეშიც არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია გადამოწმებულია. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- E-school-ის ბაზა;
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ;

შეფასება:

ი გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ი შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პერიოდში სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს, მაგალითად პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის მშობელს სწავლის დაწყებამდე უკავშირდება კლასის დამრიგებელი და ეცნობა. საჭიროების შემთხვევაში, თუ ის სსსმ მოსწავლეა, აცნობს სპეციალურ მასწავლებელსაც, ასევე დირექციის დახმარებით ეცნობიან სკოლის გარემოს: საკლასო ოთახს, რესურს ოთახს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს. სსსმ მოსწავლეების თანაკლასელების ინფორმირების მიზნით, ცნობიერების ასამაღლებლად ტარდება შეხვედრა, სადაც მოსწავლეებს



მიეწოდებათ ინფორმაცია განსხვავებული შესაძლებლობების ადამიანების შესახებ, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები მშობელს უწევენ კონსულტაციას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას დოკუმენტი, სადაც ადაპტაციის მექანიზმები ერთად იქნება თავმოყრილი და გაწერილი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, სადაც მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური გაკვეთილები და ასევე გამოიყენება მათი განტვირთვის და დასვენების მიზნით. რესურს ოთახში სკოლა პერიოდულად აახლებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსებს. სსსმ მოსწავლეებთან მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მუშაობს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც საგნის მასწავლებლებსა და მშობელთან ერთად კოორდინირებულად მუშაობს მოსწავლეების აკადემიური, შემეცნებითი, ფუნქციური, სოციალური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. მხარდაჭერის მიზნით, სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაცია. სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის წესდებით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/კურიკულუმით. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს და საჭირო ინტერვენციას. ასევე მასწავლებლები უწევენ მოსწავლეებს სათანადო კონსულტირებას წლიური და საშემოდგომო გამოცდის წინ, რაც დადებითად აისახება მოსწავლეების შედეგებზე. სკოლაში სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და კოგნიტური უნარების გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით რესურს ოთახში სპეციალური მასწავლებელი მუშაობს წინასწარ განსაზღვრული განრიგის შესაბამისად. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. დაგეგმილი ღონისძიებები და პროექტები მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას უწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



5. კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლა მხარს უჭერს დამატებითი/არაფორმალური აქტივობებს და მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საგანმანათლებლო სერვისებს, მაგ ცეკვის წრე, ინგლისური ენის შემსწავლელი კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. დამრიგებლები და მასწავლებლები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სარგებლობენ დიდი ნდობით და პატივისცემით, სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეთა საჭიროების იდენტიფიცირებას და გადაჭრის გზების შეთავაზებას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლის მიერ წინა წელს მოხდა სკოლის საჭიროებების დაგდენა. გამოიკვეთა შემდეგი პრობლემური საკითხები, როგორიცაა კვების ობიექტის არარსებობა, სწავლის ხარისხი, წიგნადი ფონდის განახლება. სკოლა აღნიშნული პრობლემური საკითხების მოგვარებაზე მუშაობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- ექსკურსიის მასალები;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების



შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დამრიგებელი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ცდილობს დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოვლენაში, გააცნოს ცალკეული პროფესიები და დასაქმების შესაძლებლობები. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი „ილია წინამძღვრის სახელობის კოლეჯ“-თან და სკოლა აღნიშნულით ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული პროფესიის სწორად არჩევაში. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებლები IX კლასის მოსწავლეებს მუდმივად აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიული/სახელობო სასწავლებლების შესახებ. ღია კარის დღეზე კოლეჯების წარმომადგენლები აცნობენ მოსწავლეებს სასწავლებლების პროფესიულ მიმართულებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე და დოკუმენტ ბრუნვის სისტემაში სკოლას შემოსდის ინფორმაცია, სიახლეები მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ კონკრეტულ პროგრამებზე / ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, დახმარებით. სკოლის დამრიგებლებისა და მასწავლებლების ინიციატივით სკოლის მოსწავლეები სტუმრობენ სხვადასხვა კოლეჯებს სამუშაო პროცესის სანახადად. სკოლა აგროვებს ინფორმაციას პროფესიული სასწავლებლების შესახებ, რათა ინფორმაცია მიაწოდოს მოსწავლეებს. დირექცია და მასწავლებლები გეგმავენ და ორგანიზებას უკეთებენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან შეხვედრებს, რომელთა ფარგლებშიც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ პირდაპირ პროფესიონალებს დაუსვან შეკითხვები და მიიღონ მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები. პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული, დისკუსიები ასევე იმართება სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა მომავალშიც გეგმავს ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით და დაგეგმავს შემდგომ ეფექტური ღონისძიებებს ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები;
- შემოსული წერილები სკოლაში შეხვედრების ორგანიზების შესახებ;
- კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმი;



შეფასება:

ი გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ი შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მატერიალური (რესურს ოთახი, კომპიუტერი, განმავითარებელი სათამაშოები და სასწავლო ნივთები, ადაპტირებული საპირფარეშო, პანდუსი, ლიფტი) და ადამიანური რესურსები (ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, რასაც იყენებს სსსმ მოსწავლეთა სწავლების უზრუნველსაყოფად. სკოლა უკვე იდენტიფიცირებული მოსწავლეებისათვის, სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში, ქმნის ინდივიდუალურ სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც თავის მხრივ შეიმუშავენ მოსწავლეზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ამასთან, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაზე დაყრდნობით, მოიცავდეს ყველა ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს, სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები საბოლოოდ, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, მტკიცდება სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ. იმ მოსწავლეების შემთხვევაში, კი, რომელსაც სწავლის დაწყების შემდგომ გამოუვლინდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, სკოლა გადის იგივე პროცედურას მათი იდენტიფიცირებიდან ერთი თვის ვადაში. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის მიერ მისაღწევი მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები. სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით. ისგ ჯგუფის



წევრები - საგნის მასწავლებელი მიზნების მიღწევაში. ჯგუფს კოორდინირებას უწევს დამრიგებელი. ისე ჯგუფი აკვირდება მოსწავლის პროგრესს და აკეთებს ანალიზს. სემესტრისა და წლის ბოლოს ისე ჯგუფი ახორციელებს სასწავლო პროცესის შეჯამებას. მასწავლებლები, დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი, მშობელი, აქტიურად არიან ჩართულნი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევაში. ჯგუფს კოორდინირებას უწევს დამრიგებელი. ისე ჯგუფი აკვირდება მოსწავლის პროგრესს და აკეთებს ანალიზს. სემესტრისა და წლის ბოლოს ისე ჯგუფი ახორციელებს სასწავლო პროცესის შეჯამებას. ყველა მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ატვირთულია E-school-ის ბაზაში. რესურს ოთახის კარებთან გაკრულია სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისე ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება, რესურს ოთახების მოწესრიგება და აღჭურვა შესაბამისი რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. სამოქმედო გეგმით დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მასწავლებლების კონსულტირება სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით, სასწავლო მასალის ადაპტირებასთან დაკავშირებით. სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე ზრუნვენ დამრიგებლები, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები და მოსწავლეები. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვას უზრუნველყოფს დამრიგებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანაში მონაწილეობს სამეურვეო და პედაგოგიური საბჭო, (სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან/შეთანხმებასთან დაკავშირებით) ისე ჯგუფი განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეულ შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისე ჯგუფი შექმნის ბრძანება;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- მონიტორინგის ჯგუფი და დებულება
- ისე ჯგუფის ბრძანება;



- ისე ჯგუფის ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელი ოქმი ისე ჯგუფის კოორდინატორის მოხსენებაზე.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა გეგმავს საიჯარო ხელშეკრულებით გასცეს ფართი სკოლის ბუფეტის ფუნქციონირებისთვის. ამ ეტაპზე სკოლის ბუფეტი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად სკოლას არ აქვს ბუფეტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება. ექსპურსიები იგეგმება კანონმდებლობის შესაბამისად. არსებული რეგულაციების დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების მიწოდების მიზნით, მშობლები მოთხოვნას აფიქსირებენ კლასის დამრიგებლებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მშობლებისა და



მოსწავლეების სურვილების სკოლის დირექციამდე მიტანას. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად მზადაა მშობლებთან კომუნიკაციისთვის და მშობლებს შესაძლებლობა აქვთ მიმართონ პირდაპირ დირექციას, თუ მათ სურთ კონკრეტული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მიღება. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, არსებობის შემთხვევაში, რომელიც მოსწავლეებისა და მათი მშობლების საჭიროებებითა და ინიციატივით იქნება განპირობებული, წინასწარ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება ასევე მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი. ასევე გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება დაიცვას უსაფრთხოების წესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ექსკურსიის მასალები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება; შეფასება;
- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;

შეფასება

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



☐ არ შეესაბამება



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შემუშავდა ადმინისტრაციის მიერ, საფუძვლად დაედო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და სკოლის მისია, სწავლა/სწავლების პროცესის მოსწავლეზე ორიენტირება და ზრუნვა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული პროცედურები. სკოლას, ასევე აქვს მზაობა უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევა, მათი შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით, რათა უზრუნველყოს მათი ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. სკოლის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ასახული თემები და აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკობრივ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლაში განსაზღვრულია სასკოლო კლუბებისა და წრეების მუშაობა. აქტიურად იგეგმება და განხორციელდება სასკოლო პროექტები, რომლის თემატიკაც ძირითადად განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემების და მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. წარმოდგენილი თვითშეფასების განაცხადიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუებით ჩანს, რომ კურიკულუმი შემუშავების პროცესშია და პროცესი მიმდინარეობს ყველა იმ მასწავლებლის ჩართულობით, რომლებთანაც მისი შემუშავების ეტაპზე სკოლას აქვს შრომითი ურთიერთობა. მასწავლებლება და სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუების პროცესში გააჟღერეს, რომ ახალი სასწავლო წლიდან მათი ჩართულობით უზრუნველყოფილი იქნება კურიკულუმის განვითარება და ჩამოყალიბდება დასრულებული სახით. **ინდიკატორი**



დაკმაყოფილებულია

4. სკოლის თვითშეფასების განაცხადის და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტის თანახმად, ასევე ინტერვიუებით ჩანს, რომ სკოლა კურიკულუმს მოიაზრებს, როგორც საჯარო დოკუმენტს. ინტერვიუების დროს პედაგოგიური კოლექტივი და დირექცია აღნიშნავდა, რომ მოხდება უკუკავშირის და რეკომენდაციების გაზიარება კათედრის წარმომადგენლების მიერ. კურიკულუმის საბოლოო სახით ფორმირების შემდეგ კი მოხდება მისი გაზიარება სკოლის ვებ გვერდზე. სკოლა გეგმავს შეიმუშაოს უკუკავშირის მიღებისა და გათვალისწინების მექანიზმები, რაც სასკოლო საზოგადოების მხრიდან მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებისკენაა მიმართული.
- ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმი;
- კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

ი გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ი შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;



3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, თემები და კომპლექსური დავალებები სასწავლო შინაარსთან ერთად, მიზნად ისახავს მოსწავლეთა ინტერესის, შესაძლებლობის და წინარე ცოდნის გათვალისწინებას. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოში და სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში აღწერილია, ვის რა როლი აქვს საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და მონიტორინგის პროცესში. აქვთ მზაობა სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად, ხოლო ყველა მომდევნო წლისათვის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებისას, გაითვალისწინონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ინტერესები და საჭიროებები.

სკოლას მიეცა რჩევა ბუნებისმეტყველება-მე-3 და მე-6 კლასის კურიკულუმებში რიგ საკითხთა კლასტერში დასაზუსტებელია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები IV კლასის კურიკულუმში ჩასამატებელია სამიზნე ცნებები, თემებში კლასტერების მიხედვით მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში, თემაში - მზის სისტემა- პირველი კლასტერის საკითხების დამუშავებისას სამიზნე ცნება სხეული შეიცვალოს მოვლენებით. ბუნებისმეტყველების VI კლასის კურიკულუმის მე-3 თემის პირველ საკითხთა კლასტერში სამიზნე ცნებები დასახვეწია. მე-4 კლასის კურიკულუმში გაიწეროს სამიზნე ცნებები კლასტერში შემავალ საკითხებზე დაყრდნობით. IV კლასის კურიკულუმში არ არის გაწერილი შუალედური მიზნები, რაც არ მისცემს მოსწავლეს საშუალებას ჩართული იყოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში. IV კლასის კურიკულუმში გაიწეროს კომპლექსური სახის შემაჯამებელი დავალება/დავალებები, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, შედგენილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად ასახულია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, კურიკულუმი დაგეგმილია იმ სახით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მოსწავლეებში შემოქმედებითობის, კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, საკომუნიკაციო უნარების განვითარება, თვითრეგულაციური ციკლის განვითარება, ღირებულებების



ჩამოყალიბება და ავტონომიურობა. თუმცა საგნობრივი ექსპერტების მიერ გაიცა რამდენიმე შემდეგი ტიპის რჩევები: ბუნებისმეტყველება- მე-3 და მე-6 კლასის კურიკულუმებში რიგ საკითხთა კლასტერში დასაზუსტებელია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები IV კლასის კურიკულუმში ჩასამატებელია სამიზნე ცნებები, თემებში კლასტერების მიხედვით მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში, თემაში -მზის სისტემა- პირველი კლასტერის საკითხების დამუშავებისას სამიზნე ცნება სხეული შეიცვალოს მოვლენებით. ბუნებისმეტყველების VI კლასის კურიკულუმის მე-3 თემის პირველ საკითხთა კლასტერში სამიზნე ცნებები დასახვეწია. მე-4 კლასის კურიკულუმში გაიწეროს სამიზნე ცნებები კლასტერში შემავალ საკითხებზე დაყრდნობით. გარდა აღნიშნული რჩევისა სკოლის მიერ წარმოდგენილ უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში (ორივე ენაში: ინგლისური, რუსული) არაა მითითებული ესგ-ში მოცემული სავალდებულო თემა. სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემების ნაცვლად მასწავლებლებს მითითებული აქვთ საგნის სახელმძღვანელოს თავის სათაური / საკითხები მაგ.: „Unit 1 First Day“ ან „Раздел1 Снова в школу“ რომლებიც სრულად ვერ ფარავენ სავალდებულო თემატურ ბლოკებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასებაში წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; თუმცა საგნობრივი ექსპერტების მიერ კურიკულუმების შინაარსის გაცნობის შედეგად შემდეგი სახის რჩევა გაიცა: ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში (მე-4 კლასის კურიკულუმში, გაწერილი სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.) განსაზღვრული სასწავლო რესურსებს- სახელმძღვანელოს და ტელესკოლის გაკვეთილებს, უნდა დაემატოს დამატებითი რესურსები (ელექტრონული რესურსები, საგანმანათლებლო პლათფორმები, ვირტუალური ლაბორატორია), საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის რესურსი (რომლის გამდიდრებაც იგეგმება) რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. უცხოური ენა - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში ნაწილობრივ იკითხება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, სასურველია სრული სურათი ჩანდეს. ბუნებისმეტყველება-განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს უნდა ერთვოდეს მასწავლებლის განმავითარებელი კომენტარი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურსკულუმების ჩარჩოს გაცნობის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, თუმცა სასურველია სკოლის მიერ გათვალისწინებული იქნას საგნობრივი ექსპერტების მიერ გაცემული შემდეგი ხასიათის რჩევა: სახელმწიფო ენა/ქართული ენა და ლიტერატურა -სასურველია სასწავლო პროცესში უფრო მეტი და ამასთან მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება (თითოეული თემის შესაბამისად), რომელიც მიმართული იქნება დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომაზე. მათემატიკა - სასურველია საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი აქტივობები.



სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეების შედეგების მიღწევების გასაზომი ინსტრუმენტია დიაგნოსტიკური წერა, რომელიც მასწავლებელს საშუალებას მისცემს ეფექტურად გაზომოს მოსწავლის განვითარება საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევის მიმართულებით. სკოლას დიაგნოსტიკური წერების გამოცდილება ამჟამად არ აქვს, მაგრამ მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკურ წერებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, სადაც აღწერილია მოსწავლის შეფასების სისტემის შეესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი სახის რჩევა: სახელმწიფო ენა/ქართული ენა და ლიტერატურა- შეფასების რუბრიკებში უმჯობესია გაიწეროს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები როგორც საშინაო, აგრეთვე საკლასო აქტივობებისთვის. სასურველია, შეფასების რუბრიკები იყოს მეტად მრავალფეროვანი და მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის დავალებებს. კომპიუტერული ტექნოლოგიები- სასურველია, დოკუმენტი “შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი” ცნობილი იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ბუნებისმეტყველება-სასურველია, განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს ერთვოდეს მასწავლებლის განმავითარებელი კომენტარი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი;
- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

ი გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ი შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად



1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწყევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სკოლასწარმოდგენილი აქვს პროექტებით სწავლების ხედვა და გეგმა. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. საგნობრივი ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რჩევები : კომპიუტერული ტექნოლოგიები-საგნობრივი კურიკულუმში დაემატოს ციფრული უსაფრთხოების ცნება . კურიკულუმის დოკუმენტში გამორჩენილია ციფრული უსაფრთხოების ცნება, თუმცა ინტერვიუს დროს საგნის მასწავლებელმა თავად დაიწყო საუბარი იმაზე , თუ როგორ ასწავლის ამ საკითხს.

ხოლო დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოს განხილვისას სკოლას მიეცა რეკომენდაცია ბუნებისმეტყველების კურიკულუმებს დაემატოს აქტივობები, შესაბამისი რესურსებით, რათა სწავლა-სწავლების პროცესში გრძელვადიანი მიზნების დაფარვა მოხდეს ეფექტურად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. წინარე ცოდნის დიაგნოსტიკა ხდება გამოკითხვის/დოკუმენტების ანალიზის საშუალებით, ანალიზზე დაყრდნობით ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ და კონსტრუქტივისტული მიდგომით წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კომპლექსურ დავალებას, რომლის საშუალებით ხდება მოსწავლეებში ახალი ცოდნის კონსტრუირება. სწორედ ამიტომაც სასწავლო პროცესი ეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას და ეყრდნობა წინარე ცოდნას. სკოლაში სწავლების პროცესი აქტიური პროცესია, მოსწავლე მასწავლებლის დახმარებით თვითონ აგებს ცოდნას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, გამოცდილებისა და ნაცნობი კონტექსტის გახსენებით. მოსწავლეს მასწავლებელი ეხმარება ცოდნის აგებაში, უქმნის სწავლის მოტივაციას, ეხმარებიან სწავლის მიზანის გაცნობიერებაში, ამუშავებენ საყოფაცხოვრებო



ტიპის ამოცანებს, სკოლა უქმნის სწავლისთვის ხელსაყრელ გარემოს, რათა მოხდეს საგაკვეთილო პროცესის დროს წინარე ცოდნის გააქტიურება. ცოდნის კონსტრუირებისთვის მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს მათთვის შინაარსიან, აზრიან, ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებულ კომპლექსურ დავალებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. ვიზიტის პერიოდში საგნობრივი ექსპერტების მიერ შეფასებული იქნა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის მიზანი შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით საგნობრივი ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი ხასიათის რჩევა: სახელმწიფო ენა/ქართული ენა და ლიტერატურა- შეფასების რუბრიკებში უმჯობესია გაიწეროს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები როგორც საშინაო, აგრეთვე საკლასო აქტივობებისთვის. სასურველია, შეფასების რუბრიკები იყოს მეტად მრავალფეროვანი და მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის დავალებებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომლის თანხამდაც სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია დაწესებულებაში შეფასების სისტემა იყოს სანდო ვალიდური და გამჭვირვალე პროცესი, ასევე სამართლიანი და ობიექტური. დოკუმენტში წარმოდგენილია ვერიფიკაციის პრინციპები, მიზნები, ამოცანები, აღწერილია ვერიფიკაციის პრცესი და განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განმახორციელებელ ერთ-ერთ პირად მოხსენიებულია დირექტორის მოადგილე, სკოლას ამ ეტაპზე არ ყავს დირექტორის მოადგილე და მის მოვალეობას ასრულებს სკოლის დირექტორი, სკოლის წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა აღნიშნულ დოკუმენტში შესწორებული იქნეს დაშვებული ტექნიკური შეცდომა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო პროექტები;
- დაწყებით საფეხურის კურიკულუმი
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
 2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
 3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
- მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლები ძირითად რესურსად იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, თუმცა ასევე იყენებენ სხვა დამხმარე რესურსებს, რაც საშუალებას აძლევს პედაგოგებს ყურადღება მიაქციონ მოსწავლის ცოდნის სისტემატიზაციას. მოსწავლეებს აქტიურად ეძლევათ პრაქტიკული დავალებები, რომლებიც აჩვენებს თუ როგორ ახერხებს თითოეული მოსწავლე მიღებული ცოდნის ტრანსფერს. მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავენ ორი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით, პირველი - გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება, რომელიც გულისხმობს სამიზნე ცნებების საშუალებით სასწავლო საკითხებისა და თემების სწავლა-სწავლებას და ცხოვრებისეულ სიტუაციაში რეალიზებას. ხოლო მეორე - სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაყრდნობით - კომპლექსური დავალების განხორციელება და პრაქტიკაში რეალიზება. ცნებები გაწერილია საფეხურის განმავლობაში და ხდება მათი დამუშავება, თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომელიც განსაზღვრავს, კონკრეტულად, რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა აღნიშნულ ცნებებთან მიმართებით საფეხურის (ნებისმიერი) დასრულებამდე. სკოლის საგნობრივი კურიკულუმი/კომპლექსური დავალება, პროექტები და სხვ. ეფუძნება თემატურ ბლოკებს, თემებს, სამიზნე ცნებებს, სტანდარტის შედეგებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებს და შესაბამისი რესურსების გამოყენებას. სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „მატრიცაში“ ჩაშენებული მკვიდრი წარმოდგენები და ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოჩენილი-კრიტერიუმები. მომავალში ვფიქრობთ



განმავითარებელი შეფასების უფრო აქტიურად გამოყენება-დანერგვას. საგნობრივი ექსპერტის მიერ გაიცა შემდეგი სახის რჩევა: სახელმწიფო ენა/ქართული ენა და ლიტერატურა - სასურველია, თითოეული თემის დამუშავებისას გამოყენებულ იქნეს დამატებითი რესურსები თვალსაჩინოების, ფოტო/ვიდეო/აუდიო მასალების, სქემების, გრაფიკული მათემატიკის და სხვა მასალების სახით.

მათემატიკა - სასურველია მეტი აქცენტი გაკეთდეს ელექტრონული რესურსების შექმნასა და გამოყენებაზე სასწავლო პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას საგნობრივი ექსპერტის მიერ გაიცა შემდეგი სახის რჩევა : უცხოური ენები-სასურველია კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეადგინოს ცალკე დოკუმენტად ან ცალკე სიით დამატებითი რესურსების ჩამონათვალი რომელიც წარდგენილი იქნება კათედრის პირველ ოქმის დანართად და სკოლის/ადმინისტრაციის სათანადო პირი გამოიკვლიოს ამ რესურსების ვალიდურობა/ ან თავად კათედრა კოლეგების დახმარებით (მაგ. სახელმწიფო კათედრის დახმარებით) დაადგინოს ვალიდურობა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სკოლას აქვს 134 მოსწავლის მერხი და სკამი, 12 საკლასო ოთახი, რომლებიც აკმაყოფილებენ სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აქედან ერთი კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტია, რომელიც აღჭურვილია 13 მოსწავლისათვის განკუთვნილი ლეპტოპით, პროექტორით და პროექტორის დაფით, საკაბელო და უკაბელო (wi-fi) ინტერნეტით. საბუნებისმეტყველო კაბინეტი, რომელსაც გააჩნია ლაბორატორიისათვის განკუთვნილი განყოფილება (ოთახი), ის აღჭურვილია თვალსაჩინოებებით, თუმცა არ გააჩნია ლაბორატორიული ინვენტარი, რისი შეძენაც იგეგმება მომავალში. სკოლას აქვს ასევე გარე სპორტული მოედანი, სპორტული აქტივობებისათვის აუცილებელი ინვენტარი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- კურიკულუმი-მატრიცა-შეფასება
- მასწავლებელთა პირადი საქმე



შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მონიტორინგი კათედრების დონეზე დელეგირებულია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონიტორინგის დელეგირება სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე (მაგ. მომავალი წლიდან იგეგმება კათედრებზე მონიტორინგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები (მსგავსი დავალებების შეტანით) პარალელურად დონეზე, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რეკომენდაციები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ- სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე. დაიგეგმება ინტერვენციები) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ვალდებულია თვალყური ადევნოს და შეაფასოს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი. ამ ჯგუფს ევალება გაკვეთილებზე დასწრება და ჩატარებული გაკვეთილის ხარისხის შეფასება, შესაბამისად პედაგოგისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მიცემა, რაც უზრუნველყოფს მის პროფესიულ ზრდას. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ გაკვეთილებზე



ურთიერთდასწრებას და ერთმანეთის შეფასებას. სკოლაში სწავლება დაფუძნებულია კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, შესაბამისად ყოველი ასეთი დავალების შესრულების შემდეგ კათედრებზე ხდება მათი შეფასება, ყოველი წარმატებული და გასაუმჯობესებელი საკითხის დაფიქსირება, რაც საბოლოო ჯამში საჭიროა კურიკულუმის განხორციელების შეფასებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა- სწავლების პროცესში. პრობლემის SWOT ანალიზის მეთოდით იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის წევრები სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად აფიქსირებენ ყველა გამოვლენილ პრობლემას, რათა შემდეგ დასახონ მათი გადაჭრის გზები. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ საკუთარი გაკვეთილების თვითრეფლექსიას, კოლეგების ურთიერთშეფასებას და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს. სამომავლოდ სკოლას გადაწყვეტილი აქვს შექმნას ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასება, რათა უკეთესად შექმნან რევიზირებული კურიკულუმები და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯების - კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუები პედაგოგებთან;
- თვითშეფასების კითხვარი;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალების ანალიზის დოკუმენტი;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტიური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. სკოლაში განმსაზღვრელი შეფასება ხდება საშინაო, საკლასო დავალებებში და შემაჯამებელ წერებში, წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესის შეფასება დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც ხორციელდება. გასაუბრებით გაირკვა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან განმსაზღვრელ შეფასებას, ხოლო მანამდე- განმავითარებელს, აქვთ ჯგუფური მუშაობისა და განმავითარებელი შეფასებების გამოყენების გამოცდილება, თუმცა არა აქვთ წარმოდგენილი რუბრიკები, ამიტომ მიეცათ რჩევა, სასურველია, სკოლას ჰქონდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგთა ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს. გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს,



რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა, მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად და ხელს უშლიდეს მას სწავლის პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია და სხვადასხვა საგნებში მოსწავლეთა ისგ-ს ნიმუშები. სკოლის მიერ შეფასების ვალიდაციას სწორედ ასეთი მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლაში შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: მასწავლებლის პირად ჩანაწერებს, განმავითარებელ/განმსაზღვრელ შეფასებებს, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწავლეთა თვითშეფასებას და უკუკავშრს და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასებისას გათვალისწინებულია როგორც მოსწავლეთა აკადემიური დონე ასევე, მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. მომავალი წლიდან სკოლა გეგმავს არსებული გამოცდილების გაუმჯობესებას და გამრავალფეროვნებას, მაგ. დიაგნოსტიკური შეფასების სისტემის აქტიურად დანერგვასა და სხვა, რაშიც დაგვეხმარება ამ მიმართულებით დაგეგმილი ტრენინგები და მკაფიოდ გაწერილი ინსტრუქციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინტერვიუები პედაგოგებთან;
- შემაჯამებელი კოპლექსური დავალებები; თვითშეფასების კითხვარი.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში მიღებულ შესაბამის მონაცემებს და შემდეგ ხდება მათი ანალიზი კათედრის სხდომებზე. განხილულ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე კათედრები შეიმუშავენ რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის გზები მათი კურიკულუმში ასახვის მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათი სკოლა არ იყო ჩართული „ახალი სკოლის“ მოდელში, ამიტომ მწირი გადმოცდილება აქვთ კურიკულუმების შემუშავებასა და მათ განხორციელებაში, თუმცა გამოთქვეს მზაობა, რომ მიიღონ ნებისმიერი რჩევა და გააუმჯობესონ მუშაობის ხარისხი. აღნიშნეს, რომ შემუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე ცოდნასა და მათსავე წარმატებულ გამოცდილებას, აგრეთვე, მიღწეულ საუკეთესო შედეგებს. ამ მიზნით პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ „კრიტიკული მეგობრის“ მეთოდს და ესწრებიან გაკვეთილებზე, ითვალისწინებენ მირებულ უკუკავშირს და ერთად აანალიზებენ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუები პედაგოგებთან;
- თვითშეფასების კითხვარი;



- კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



სტანდარტი II

საბაზო საფეხური კურიკულუმის შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის კურიკულუმი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
- ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და პრიორიტეტული საკითხებს. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ საბაზო კლასების პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ისე სხვა საგნების მასწავლებლებთან სამივე საფეხურზე. კათედრის წევრებს შორის, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ნაწილდება ფუნქციები, რაც მიზნად ისახავს კურიკულუმის შემუშავებისას ყველას ჩართულობას, მათი შეხედულებების გათვალისწინებას, კათედრებს შორის თანამშრომლობით ურთიერთობას. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-2024 წლებში ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმი, განვითარების პროცესს და კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება შემდეგ საკითხებს: კონცეპტუალურ ჩარჩოს (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, სკოლის ფილოსოფიას), კურიკულუმის დიზაინს, კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულებს, დანერგვის ინსტრუმენტებს, შუალედური სასწავლო მიზნებს, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაციას, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და მონაწილეობის ფორმებს კურიკულუმის განვითარების პროცესში, გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა ინტერესები, დაცულია დიფერენცირებული სწავლების მეთოდები. კურიკულუმების შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის ანალიზი, შემდეგი მიმართულებებით: მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში (წარმოდგენილია მშობელთა



კითხვარი), მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა (წარმოდგენილია კათედრების სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმები), დირექციის მუშაობა. საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება - კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სკოლა გვიჩვენებს შუალედური მიზნებს, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმში სკოლა ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, ეყრდნობა მოსწავლეთა შედეგებს, მათ უკუკავშირს, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ანალიზებენ საბაზო საფეხურის მოსწავლეთა შედეგებს, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციასაც. კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილი არის კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლის გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. კომპლექსური მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ „კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს“, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად მეთოდოლოგიით განისაზღვრება შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებები: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდი; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ასევე აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შედგენისას შეძლეს მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესაძლებელია კურიკულუმში ასახული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მონაწილეობის ფორმები. სასკოლო საზოგადოება მთლიანად არის ჩართული კურიკულუმების შემუშავების პროცესში. როგორც საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა განაცხადეს, კურიკულუმების პრეზენტაციებს ეცნობა ყველა პედაგოგი, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება. ხდება მასწავლებელთა თვითშეფასებების განხილვა და რეფლექსიების საფუძველზე ხდება კურიკულუმის შემუშავება. კათედრებზე ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების გამოკითხვის შედეგად კი ითვალისწინებენ უკუკავშირის შედეგად მიღებულ რჩევებს, დამატებით მშობელთა ჩართვას ითვალისწინებენ სადამრიგებლო საათებისა და სასკოლო პროექტების დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. საბაზო საფეხურზე კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ერთობლივად შემუშავებული თემატური მატრიცები, რომლის შესაბამისი მოსწავლის ბარათები მიეწოდება მოსწავლის მშობლებს. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კურიკულუმების გაზიარებაზე ზრუნავენ არა მარტო კათედრის შიგნით სხვადასხვა საფეხურზე, არამედ მთლიანად სასკოლო საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას. ეს ხდება პედაგოგიური საბჭოს კრებებსა და მშობელთა



კრებებზე , მშობლებთან ინტენსიური კომუნიკაციის გზით. სკოლის მიერ წარმოდგენილ „სადამრიგებლო პროგრამაში“ იკვეთება დამრიგებლის როლი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რომელიც მოიცავს „ მშობელთა ინფორმირებას, მათი ჩართულობის გაზრდას სასწავლო პროცესში და მათთან ერთად სადამრიგებლო პროექტების დაგეგმვას“ („სადამრიგებლო პროგრამა“).სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად მეთოდოლოგიით განისაზღვრება შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებები: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდი; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- მოსწავლის შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილის გეგმები;
- ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- ბიბლიოთეკის დებულება;

შეფასება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტების მიერ განხილული დოკუმენტაციის საფუძველზე დაწესებულებას მიეცა შემდეგი სახის რჩევა - სახელმწიფო ენა/ქართული-თითოეული კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებებსა და შედეგებთან ერთად, სასურველია დაკონკრეტდეს უშუალოდ დამუშავებული/დასამუშავებელი ქვეცნებები თემისა და საკითხების შესაბამისად; თითოეული თემის დამუშავებისას უმჯობესია გამოყენებული იყოს უფრო მეტი კონტექსტს-მაგალითი (პარალელები, შედარებები, მაგალითები და ა.შ.) და დამატებითი რესურსები: ვიდეო/აუდიო/ფოტო მასალები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებაში გაიცა შემდეგი სახის რჩევა/რჩევები : მათემატიკა-საბაზო საფეხურის მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში სასურველია განისაზღვროს თემის /საკითხის სავარაუდო ჯამური საათობრივი დატვირთვა. უცხოური ენები-მასწავლებლებმა საგნობრივ კურიკულუმში მიუთითონ თითოეული თემისთვის/ საკითხისთვის სავარაუდო დათმობილი საათი. სასურველია აქტივობები, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესში შესაბამის სწავლის შედეგებზე გასასვლელად გაიწეროს კურიკულუმში. უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი აქტივობები ძირითად რესურსიდან არჩეული სახელმძღვანელოდან არის აღებული, არადა ინტერვიუს დროს გამოჩნდა რომ მასწავლებლები მიმართავენ სხვადასხვა აქტივობებს გსაგაკვეთილო პროცესის დროს თან რესურსებში უამრავი „ლინკი“ აქვთ მითითებული. სასურველია საგნობრივ კურიკულუმში ჩანდეს მასწავლებლის მიერ შერჩეული, დამატებითი ან მოდიფიცირებული აქტივობები, რაც საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო მოქნილს და რეალურს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-ფიზიკის კურიკულუმებში (მე-7; მე-8; მე-9კლ) დაზუსტდეს საკითხები თემებში სახელმძღვანელოს საკითხების მიხედვით. მე-7; მე-8; მე-9კლ.- საკითხთა კლასტერი, რომლებიც არ იფარება კომპლექსური დავალებებით შესავსებია რესურსებით, რომელიც შეიცავს აქტივობებს სწავლის შედეგების მიღწევისთვის(დასაზუსტებელია სახელმძღვანელოს გვერდები და ჩასამატებელია დამატებითი რესურსები) ბიოლოგია მე-8კლ. დაზუსტდეს რესურსებში მითითებული დამხმარე მასალა.

უცხოურ ენაში გამოიკვეთა შემდეგი ტიპის ხარვეზი : უცხოური ენა-სკოლის მიერ წარმოდგენილ უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში (ორივე ენაში; ინგლისური, რუსული) არაა მითითებული ესგ-ში მოცემული სავალდებულო თემა. სკოლის



მიერ მოწოდებულ კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემების ნაცვლად მასწავლებლებს მითითებული აქვთ საგნის სახელმძღვანელოს თავის სათაური / საკითხები მაგ.: „Unit 1 BRIAN’S WORLD“ ან „Раздел 1 Снова в школу“ რომლებიც სრულად ვერ ფარავენ სავალდებულო თემატურ ბლოკებს.

დაწესებულება წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კურიკულუმებზე მუშაობის ვადები. საგნობრივი ექსპერტების მიერ სრულად იქნა გაზიარებული სკოლის შესაბამისობაში აღწერილი პოზიცია, მიეცა რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კურიკულუმების ჩარჩოში სავალდებულო თემების მითითებები და ასახონ ესგ-ტ გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემები. ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს; ავტორიზაციის პერიოდში გადამოწმებული დოკუმენტაციის შედეგად ექსპერტებმა გასცეს შემდეგი სახის რჩევა/რჩევები საგნების მიხედვით: მათემატიკა-სასურველია საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი აქტივობები.სახელმწიფო ენა/ქართული-სასურველია, სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას უფრო მეტი და განსხვავებული აქტივობა; უცხოური ენები-წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში ნაწილობრივ იკითხება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, სასურველია სრული სურათი ჩანდეს.მათემატიკა- სასურველია საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი აქტივობები.სახელმწიფო ენა/ქართული-სასურველია, სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას უფრო მეტი და განსხვავებული აქტივობა;უცხოური ენები-წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში ნაწილობრივ იკითხება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, სასურველია სრული სურათი ჩანდეს.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეების შედეგების მიღწევების გასაზომი ინსტრუმენტია დიაგნოსტიკური წერა,რომელიც მასწავლებელს საშუალებას მისცემს ეფექტურად გაზომოს მოსწავლის განვითარება საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევის მიმართულებით. სკოლას დიაგნოსტიკური წერების გამოცდილება ამჟამად არ აქვს , მაგრამ მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკურ წერებს.სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეების შედეგების მიღწევების გასაზომი ინსტრუმენტია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.უნდა შემუშავდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ფიზიკის საგანში მე-7; მე-8; მე-9კლ. ქიმია მე-8კლ.განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ასახავს მოსწავლის შედეგების მიღწევის დონეს საგნის სტანდარტთან მიმართებით მოცემულ საკითხებში. ასევე გასაწერია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,რომელიც აჩვენებს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეების შედეგების მიღწევის პროცესს. კურიკულუმში ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალებებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკა მე-7; მე-8; მე-9კლ. ქიმია მე-8; მე-9 კლ. მოცემული რუბრიკები მასწავლებელს აძლევს საშუალებას ეფექტურად გაზომოს მოსწავლის განვითარება საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევის მიმართულებით.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სწავლა- სწავლების პროცესში



მოსწავლეების შედეგების მიღწევების გასაზომი ინსტრუმენტია დიაგნოსტიკური წერა, რომელიც მასწავლებელს საშუალებას მისცემს დოკუმენტაციის გადამოწმებისა და პედაგოგობთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ხასიათის ხარვეზი საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეების შედეგების მიღწევების გასაზომი ინსტრუმენტია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. უნდა შემუშავდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ფიზიკის საგანში მე-7; მე-8; მე-9 კლ. ქიმია მე-8 კლ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ასახავს მოსწავლის შედეგების მიღწევის დონეს საგნის სტანდარტთან მიმართებით მოცემულ საკითხებში. ასევე გასაწერია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც აჩვენებს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეების შედეგების მიღწევის პროცესს. კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკა მე-7; მე-8; მე-9 კლ. ქიმია მე-8; მე-9 კლ. მოცემული რუბრიკები მასწავლებელს აძლევს საშუალებას ეფექტურად გაზომოს მოსწავლის განვითარება საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევის მიმართულებით.

სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები, რომელიც გულისხმობს აღნიშნულმსაკითხებზე მუშაობს, საგნობრივი ექსპერტების მიერ სრულად იქნა გაზიარებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით საგნობრივი ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები : საზოგადოებრივი მეცნიერებები/ისტორია- სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მოქალაქეობა - სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. უცხოური ენები-სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და უცხოური ენების კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა აწარმოებს ესგ-ით განსაზღვრულ მოსწავლეთა შეფასებას, როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი). დადგინდა, რომ საბაზო საფეხურზე (VII - IX კლასებში), მასწავლებლები იყენებენ სიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, თუმცა შესაბამისი კრიტერიუმები წინასწარ არ აქვთ გაწერილი არც ინგლისურ ენაში და არც რუსულ ენაში. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ინგლისური ენის ყველა კლასის კურიკულუმში არის ჩაშენებული ე.წ. „მატრიცა“ (კომპლექსური დავალება) და ამ კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები, რომლების შესაბამისობაშია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უცხოური ენის მასწავლებლების მიერ წინასწარ იქნეს გაწერილი განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი;
- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შინაგანაწესი;
- შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო პროექტები/აქტივობები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

ი გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ი შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
 2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
 3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
 4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
 5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
- ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას- მოსწავლე ჩართულია კომპლექსურ დავალებზე მუშაობის პროცესში, სასწავლო პროექტებში, ოლიმპიადებში, სასკოლო კლუბების მუშაობაში და სხვ. თითოეული საგნის სწავლებისას მნიშვნელოვანია შემოქმედებითი აზროვნება, ამიტომ მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებში განავითარონ ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელების უნარი, ორიგინალური იდეების



გამოვლენის იდეა, დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიების უნარი და წახალისონ სასკოლო საქმიანობაში გაბედული ნაბიჯების გადადგმა. შედგენილი შემაჯამებელი დავალება წარმოადგენს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. მოსწავლეთათვის მმართველობის მეშვეობით ხდება სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობების განხორციელება, კლუბების ჩამოყალიბება. მომავალში იგეგმება ფორმალური/არაფორმალური განათლების კუთხით მრავალფეროვანი აქტივობების დანერგვა/განხორციელება. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით და მოწოდებული დოკუმენტაციის განხილვის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით საგნობრივი ექსპერტების მიერ გაჩემული იქნა შემდეგი ხასიათის რჩევები-სახელმწიფო ენა/ქართული-სასურველია სასწავლო პროცესში გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი, განსხვავებული ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკები, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება კონკრეტული კრიტერიუმები (შესაბამისი ქულებით) და მაქსიმალური სიზუსტით იქნება დაფიქსირებული თითოეული კრიტერიუმისათვის მინიჭებული ქულათა გადანაწილების პრინციპი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-ფიზიკის საგნის მე-7; მე-8; მე-9 კლ. ქიმიის მე-8 კლ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უნდა ასახავდეს მოსწავლის შედეგების მიღწევის დონეს საგნის სტანდარტთან მიმართებით მოცემულ საკითხებში. ფიზიკის საგნის მე-7; მე-8; მე-9 კლ. ქიმიის მე-8; მე-9 კლ. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, აჩვენებდეს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეების შედეგების მიღწევის პროცესს. ფიზიკის საგნის მე-7; მე-8; მე-9 კლ. ქიმია მე-8 კლ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უნდა ასახავდეს მოსწავლის შედეგების მიღწევის დონეს საგნის სტანდარტთან მიმართებით მოცემულ საკითხებში. მოსწავლისთვის ცნობილი უნდა იყოს კრიტერიუმები, რომლითაც ფასდება მისი ნაშრომი ფიზიკის საგნის მე-7; მე-8; მე-9 კლ. ქიმია მე-8 კლ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უნდა ასახავდეს მოსწავლის შედეგების მიღწევის დონეს საგნის სტანდარტთან მიმართებით მოცემულ საკითხებში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-ატვირთულ დოკუმენტაციაში არ არის ქიმიის მე-8 კლ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ხოლო ფიზიკის საგნის მე-7; მე-8; მე-9 კლ. შეფასების რუბრიკები არ ასახავს მოსწავლის შედეგების მიღწევის დონეს საგნის სტანდარტთან მიმართებით მოცემულ საკითხებში. ფიზიკის საგნის მე-7; მე-8; მე-9 კლ. ქიმიის მე-8 კლ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უნდა ასახავდეს მოსწავლის შედეგების მიღწევის დონეს საგნის სტანდარტთან მიმართებით მოცემულ საკითხებში. მოსწავლისთვის ცნობილი უნდა იყოს კრიტერიუმები, რომლითაც ფასდება მისი ნაშრომი დოკუმენტებში არ არის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკა მე-7; მე-8; მე-9 კლ. ქიმია მე-8; მე-9 კლ. კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკა მე-7; მე-8; მე-9 კლ. ქიმია მე-8; მე-9 კლ. მოცემული რუბრიკები მასწავლებელს აძლევს საშუალებას ეფექტურად გაზომოს მოსწავლის განვითარება საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევის მიმართულებით.

უცხოური ენების მიმართულებით დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი: სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციით, კერძოდ: შემაჯამებელი დავალებების ანალიზები (ინგლისურ ენაში და რუსულ ენაში) და შეფასების სქემებით (ინგლისურ ენაში და



რუსულ ენაში) ვერ დგინდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესის სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა. გამომდინარე იქედან, რომ სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რომელიც ძალადაკარგულია. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული. (უნდა აღინიშნოს რომ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა სწორად ჩამოაყალიბეს შეფასების პრინციპები, თუმცა დოკუმენტებში ეს არ დასტურდება.)

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლაში აღნიშნულ საკითხებზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რომელის დასრულების ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 30 დეკემბერი, რის საფუძველზეც საგნობრივი ექსპერტების მიერ სრულად იქნა გაზიარებული, რის საფუძველზეც მიეცა რეკომენდაცია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უცხოური ენების შეფასების სქემები, მოიყვანოს სრულ შესაბამისობაში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან დოკუმენტურად, რათა თანხვედრაში იყოს მასწავლებელთა ინტერვიურების დროს ჩამოყალიბებული შეფასების სქემებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ წარმოადგინა ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფას, სასურველია სკოლამ თავის საქმიანობა განახორციელოს აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად. დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ აღნიშნული დოკუმენტი მოყვანოს სრულ შესაბამისობაში, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ხუთი მახასიათებლის მიხედვით ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. სასურველია სკოლამ ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტის შექმნისას გაითვალისწინოს და შეიმუშაოს რისკების სისტემა, რომელიც დაეხმარება სკოლას პროცესების მართვასა და შეფასებაში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შინაგანაწესი;
- შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო პროექტები/აქტივობები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;



შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტების მიერ გაცემული იქნა შემდეგი ტიპის რჩევები მათემატიკა-სასურველია მეტი აქცენტი გაკეთდეს ელექტრონული რესურსების შექმნასა და გამოყენებაზე სასწავლო პროცესში. საზოგადოებრივი მეცნიერებები/მოქალაქეობა-სასურველია, სკოლამ კურიკულუმის ჩარჩოებში დოკუმენტურად ასახოს(საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს) სასწავლო რესურსები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს. ისტორია - სასურველია, სკოლამ კურიკულუმის ჩარჩოებში დოკუმენტურად ასახოს(საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს) სასწავლო რესურსები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას; სასწავლო წლის დასაწყისში, საგნობრივი კათედრების სხდომებზე, კურიკულუმების შემუშავებისას, განიხილება საგნის მასწავლებლის მიერ წარდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსების შესაბამისობა თემატურ და ასაკობრივ ჭრილში. საგნობრივი ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა: უცხოური ენები-სასურველია კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეადგინოს ცალკე დოკუმენტად ან ცალკე სიით დამატებითი რესურსების ჩამონათვალი რომელიც წარდგენილი იქნება კათედრის პირველ ოქმის დანართად და სკოლის/ადმინისტრაციის სათანადო პირი გამოიკვლიოს ამ რესურსების ვალიდირებულობა/ ან თავად კათედრა კოლეგების დახმარებით (მაგ. სახელმწიფო კათედრის დახმარებით) დაადგინოს ვალიდირებულობა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს მიღებული ცოდნის უკეთ გააზრებასა და რეალიზებაში შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლას აქვს კომპიუტერული კაბინეტი, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ, განრიგის მიხედვით, ისარგებლონ ინტერნეტით და შეასრულონ, როგორც საკლასო, ისე საშინაო დავალება. მართალია, ჩვენს სკოლას აქვს ლაბორატორია, მაგრამ არ აქვს ცდებისთვის აუცილებელი აღჭურვილობა, რის შეძენასაც დაგეგმილია უახლოეს მომავალში, სკოლას



დაწყებული აქვს ლაბორატორიის ინვენტარის შეძენისთვის შესაბამისი პროცედურები. თვალსაჩინოებებით, პლაკატებით, გლობუსების, რუკებით არჭურვილია საგნების მიხედვით სხვადასხვა კაბინეტები. სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, სახელმძღვანელოები დამატებითი ლიტერატურა და სხვა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვას კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, სულ 16 მასწავლებელი, რომელთაგანაც 15 მასწავლებელს დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია, აქვთ სქემის მიხედვით მინიჭებული უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ერთი მასწავლებელი, არის უსტატუსო, რომელსაც გაფორმებული ჰქონდა მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შინაგანაწესი;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სასკოლო პროექტები/ აქტივობები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს



1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; მონიტორინგი კათედრების დონეზე დელეგირებულია. აღნიშნული სტრატეგია გაწერილია სამოქმედო გეგმაში შემდეგ ნაბიჯებად: კომპლექსური დავალების მსვლელობა, მოსწავლის განვითარების დინამიკა, ეფექტური უკუკავშირი. კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმი ხელს უნდა უწყობდეს საგნის ეფექტურად სწავლებას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონიტორინგის დელეგირება სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ახალი სასწავლო წლიდან სკოლას დაგეგმილი აქვს მონიტორინგის დროს ფუნქციონირება დელეგირება მოხდეს დოკუმენტურად გაცდეს უფრო სისტემური და პერმანენტული, აღნიშნული დაეხმარება სკოლას სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. როგორც გაუსაბრებიდან ჩანს, კოლეგებს აქვთ ძალიან კარგი თანამშრომლობითი ურთიერთობები, რაც გვამღევეს იმის თქმის საშუალებას, რომ შეფასება ნამდვილად ფოკუსირებულია დახმარებას და მხარაჭერაზე, ე. ი. ამ მიმართულებით სკოლას აქვს შესაბამისი მზაობა, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის წევრები სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად აფიქსირებს ყველა გამოვლენილ პრობლემას, რათა შემდეგ დასახონ მათი გადაჭრის გზები. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ საკუთარი გაკვეთილების თვითრეფლექსიას, კოლეგების ურთიერთშეფასებას და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შინაგანაწესი;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.



ი შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, „შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსისტენტური); ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.“ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით აგრეთვე განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რაც მოიცავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკას; მასწავლებელთა პედაგოგიური საქმიანობის იდენტიფიცირებას სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებას. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლაში განმსაზღვრელი შეფასება ხდება საშინაო, საკლასო დავალებებში და შემაჯამებელ წერებში, წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკი. მაშასადამე, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სასწავლო პროცესის შეფასება საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც ხორციელდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგთა ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს. გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასებისას სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: მასწავლებლის პირად ჩანაწერებს, განმავითარებელ/განმსაზღვრელ შეფასებებს, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწავლეთა



თვითშეფასებას და უკუკავშრს და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასებისას გათვალისწინებულია, როგორც მოსწავლეთა აკადემიური დონე ასევე, მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. მომავალი წლიდან სკოლა გეგმავს არსებული გამოცდილების გაუმჯობესებას და გამრავალფეროვნებას, მაგ. დიაგნოსტიკური შეფასების სისტემის აქტიურად დანერგვასა და სხვა, რაშიც დაგეგმარება ამ მიმართულებით დაგეგმილი ტრენინგები და მკაფიოდ გაწერილი ინსტრუქციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შემაჯამებელი კოპლექსური დავალებები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინტერვიუები პედაგოგებთან;
- შეფასების რუბრიკები;
- თემატური მატრიცები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)



